



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტი**

**სამართლის ფაკულტეტი**

**სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა**

**თემა: პროკურორი, როგორც სისხლის სამართლებრივი  
დევნის სუბიექტი**

**ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

**სტუდენტი: გიორგი ღელაღუტაშვილი**

**ნაშრომის ხელმძღვანელი:**

**პროფესორი ვენედი ბენიძე**

**თბილისი**

**2021**

# შინაარსი

ანოტაცია.....	4
Annotation.....	5
შესავალი.....	6
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....	9
თავი II. პროკურორის სტატუსის ფორმირება.....	11
2.1. ისტორიული ექსკურსი.....	11
2.2. პროკურორის სტატუსი და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები.....	15
2.3. პროკურორის სტატუსი და მისი მონაწილეობის ხარისხი საგამოძიებო ღონისძიებაში.....	18
2.4. გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფარგლები და მისი მიზნები.....	20
თავი III. სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტის მიმოხილვა.....	22
3.1. სისხლისსამართლებრივი დევნის არსი და სახეები.....	22
3.2. დევნის განმახორციელებელი ორგანო - „მპარავთმძებნელთა ინსტიტუტი“.....	23
3.3. ვახტანგ VI-ის კანონების მიხედვით დევნის პრინციპები.....	24
3.4. ქართული სისხლის სამართლის პროცესი XVIII საუკუნის II ნახევარში.....	25
3.5. სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტის განვითარება კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლის მიხედვით.....	25
თავი IV. სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლები.....	27
4.1. სისხლისსამართლებრივი დევნა სამართალწარმოების საწყის ეტაპზე.....	27
4.2. სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება და სახეები.....	28
4.3. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დაკავებით.....	29
4.4. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პირის ბრალდებით.....	31
თავი V. დისკრეცია, როგორც პროკურორის ექსკლუზიური უფლებამოსილება.....	34
5.1. დისკრეციის არსი.....	34
5.2. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისას.....	35
5.3. სრული ტესტის დატვირთვა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას.....	39
5.3.1. მტკიცებულებათა ტესტი.....	40
5.4. საჯარო ინტერესის ტესტი.....	41
5.5. სუბიექტივიზმის საფრთხე დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას და სასამართლო კონტროლი როგორც მისი გამორიცხვის გზა.....	45
5.6. სისხლისსამართლებრივი დევნის დამთავრება.....	49

თავი VI. კვლევის შედეგები .....	52
დასკვნა .....	54
გამოყენებული ლიტერატურა .....	57

## ანოტაცია

დანაშაული საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელიც თავისი ბუნებიდან გამომდინარევე საფრთხეს უქმნის როგორც ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ისე სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებას. ყველა სახელმწიფოს ძირითადი საზრუნავია დანაშაულთან ბრძოლა, რადგან საფრთხე არ შეექმნას ქვეყნის ეკონომიკურ სისტემასა თუ მოქალაქეების საკუთრებას, სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ქართველმა კანონმდებელმა ცალსახად განმარტა, რომ დანაშაული, ეს არის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელთან ეფექტური ბრძოლაც ქვეყნის ძირითად საზრუნავს წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ დანაშაულთან ბრძოლა სწორედ მის გამოვლენაში, აღკვეთასა და სრულ, ობიექტურ გამოძიებაში გამოიხატება. დანაშაულთან ბრძოლაში სახელმწიფო გამოდის ბრალდების მხარის პოზიციით და პროკურორია სწორედ ის ცენტრალური ფიგურა, რომელიც სახელმწიფოს სახელით მხარს უჭერს ბრალდებას დანაშაულთან ბრძოლაში. საქმის სრულყოფილად გამოძიება და შედეგის დადგომა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ეს პირდაპირ აისახება ქვეყნის ინტერესებზე და, რასაკვირველია, თავის მხრივ, მოქალაქეებს უჩნდებათ უსაფრთხოების განცდა.

საზოგადოების ინტერესებშია, რომ კანონის უზენაესობა გარანტირებული იყოს მართლმსაჯულების მიუკერძოებელი, სამართლიანი და ეფექტური ადმინისტრირებით. სახელმწიფო ბრალმდებელი, სწორედ თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, წარმოადგენს, საპროცესო წარმოების ყველა ეტაპზე, ყველა ინდივიდის უფლების, თავისუფლების და საჯარო წესრიგის დაცვის გარანტს.

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში გაანალიზებულია ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ადგენს გამოძიების წესებს, გამოძიების პროცესის სუბიექტების უერთიერთობებს და მათი დამოუკიდებლობის ხარისხს. ამ მხრივ ხაზგასასმელია თუ რამდენად მასშტაბურია პროკურორის გამოძიებაზე ზედამხედველობა, რა ინტენსივობით შეუძლია პროკურორს საგამომიებო მოქმედებებში ჩარევა, ასევე ის თუ რა როლს ასრულებს პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პირობებში (გამომიების სტადიაზე).

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში საუბარია სისხლისსამართლის დევნის დაწყებისა და განხორციელების თავისებურებებზე, რაც ასახულია ქართულ საპროცესო სამართალში. კვლევაში ასახულია სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტი, მისი განვითარება და პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, როგორც ნოვაცია ქართულ სამართლებრივ სივრცეში.

## Annotation

Crime is a public event, that by its nature endangers human life and health, as well as the normal functioning of the State. The main concern of all States is fighting crime, in order not to endanger the economic system of the country and the property, life and health of the citizens. The Georgian legislator has clearly explained that crime is an illegal and culpable act, the effective fight against which is the main concern of the country.

It is noteworthy that the fight against crime is expressed in detection, prevention and full, objective investigation of the criminality. While fighting against crime, the State takes the position of the prosecution, and the prosecutor is the central figure who supports the accusation on behalf of the State in the fight against crime. A thorough investigation of the case and the outcome is extremely important, because it directly affects the interests of the country and, of course, in turn, gives citizens a sense of security.

It is the public interest that supremacy of law is to be guaranteed by impartial, fair and efficient administration of justice. The state prosecutor, exactly because of his functions, is the guarantor of the protection of the rights, freedoms of all individuals and public order at all stages of the legal proceedings.

In the presented master's thesis there are analyzed those legislative norms, that determines the investigation rules, the relations between the subjects of the investigation process and the degree of their independence. In this regard it should be emphasized the extent of supervision of the prosecutor on the investigation, the intensity with which the prosecutor can intervene in the investigation, as well as the role of the prosecutor in the implementation of the criminal prosecution (at the investigation stage).

In the presented master's thesis there are discussed the peculiarities of initiating and carrying out criminal prosecution, which are reflected in the Georgian procedural law. In the research it is reflected the criminal prosecution institution, its development and the discretionary powers of the prosecutor as an innovation in the Georgian legal space.

## შესავალი

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულმა კონსტიტუციამ, ახლებურად ჩამოაყალიბა პროკურატურის ადგილი და როლი სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში. თავდაპირველად პროკურატურა მოიაზრებოდა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებად, შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისა და 2008 წლის 21 ოქტომბერს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ, პროკურატურა გახდა ადმინისტრაციული ხელისუფლების შემადგენელი ნაწილი და იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებად იქცა. 2018 წელს საკონსტიტუციო ცვლილების შესაბამისად, მიღებულ იქნა რა ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“. განხორციელდა რიგი ინსტიტუციონალური ცვლილებები პროკურატურასთან მიმართებაში, რის შემდგომაც იგი გახდა ყველა ხელისუფლებისგან სრულიად დამოუკიდებელი ორგანო.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა წარმოადგენს ერთიან, ცენტრალიზებულ სისტემას, რომელიც თავისი საქმიანობის განხორციელების დროს დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. დაუშვებელია პროკურატურის საქმიანობაში ჩარევა, ან სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელმაც შესაძლოა რაიმე ფორმით ხელყოს მისი დამოუკიდებლობა. საქართველოს კონსტიტუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ პროკურატურა თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს.

პროკურატურის ფუნქციები, საპროცესო უფლებამოსილება და პროკურორის სამართლებრივი სტატუსი რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

პროკურატურა პროცესუალურ ხელმძღვანელობას უწევს გამოძიებას, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას, სასამართლოში სახელმწიფოს სახელით მხარს უჭერს ბრალდებას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პროკურატურა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს.

პროკურორს, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელს, გამოძიების პროცესში მეტად აქტიური როლი უკავია. იგი არამხოლოდ შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს აძლევს გამოძიებელს, რითაც განსაზღვრავს გამოძიების მიმართულებას, ამავდროულად მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებებში და თავად აწარმოოს გამოძიება სრული მოცულობით.

როგორც აღვნიშნეთ, პროკურორის როლი მეტად მნიშვნელოვანია გამომძიების ეტაპზე, რადგან მთელ რიგ საგამომძიებო თუ საპროცესო მოქმედებებს გამომძიებელი მისი უშუალო თანხმობითა და მითითებით ასრულებს. მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩასატარებლად განჩინების გაცემის მოთხოვნით. აღნიშნული უფლება 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გამომძიებელსაც ჰქონდა, პროკურორის თანხმობით.

სისხლისამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემაში პროკურორის როლი არის არსებითი. სწორედ პროკურატურაა ის ორგანო, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი აქვს კანონის უზენაესობის განუხრელად დაცვაში.

**თემის აქტუალობა** - საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს საკანონმდებლო სივრცეში განხორციელებული ცვლილებები, რის საფუძველზეც პროკურორს, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელს, დაეკისრა სისხლისამართლებრივი დისკრეციის ექსკლუზიური უფლებამოსილება.

ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა საფუძველი ჩაუყარა შეჯიბრებითობის პრინციპს, რომელმაც თავის მხრივ კონცენტრირება მოახდინა დაცვის და ბრალდების მხარეებისათვის თანაბარი პირობების შექმნაზე. მოქმედმა სისხლის სამართლის პროცესმა ცხადყო, რომ ქართული მართლმსაჯულების სისტემა შეუერთდა საერთო სამართლის ქვეყნების სამართლებრივ დოქტრინას და დატოვა კონტინენტური სამართლის ოჯახი.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, უწყვეტად მიმდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო რეფორმა, რომელიც დღესაც გრძელდება. ამის ფონზე ხელისშემშლელ გარემობას წარმოადგენს დანაშაულის ზრდა და მსოფლიო განვითარების ფონზე დანაშაულის ახალი სახეები, რისთვისაც სამართალდამცავ ორგანოებს ესაჭიროება მუდმივი განვითარება და მაღალი პროფესიონალიზმი.

დამნაშავეობასთან ბრძოლა ყველა ქვეყნის ძირითადი საზრუნავია. ამ ბრძოლის ეპიცენტრში გვევლინება პროკურორი, რომელიც ახალი საპროცესო კოდექსის მოქმედების პირობებში აღიჭურვა იმაზე მეტი უფლებამოსილებით, ვიდრე მისი წინამორბედების დროს ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება მას ფართო ლავირების და მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების საკითხი სწორედ პროკურორის გადასაწყვეტია. იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფო ბრალმდებელი წარმოდგენილია დამნაშავეობასთან ბრძოლის ცენტრალურ ფიგურად, რომელსაც გაზრდილი აქვს უფლებამოსილებები, ყურადღებას იქცევს და საინტერესოს ხდის განხორციელებული რეფორმების ფონზე საკითხის შესწავლას.

**ნაშრომის მიზანი:** პროკურორის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტის, როლის ანალიზი, მისი საპროცესო მდგომარეობის და უფლებამოსილებების განხილვა. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების შესწავლა-გამოკვლევა როგორც ეროვნული, ისე უცხო ქვეყნების მაგალითზე.

**კვლევის მეთოდები:** წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული მეთოპდი, ვინაიდან საკვლევი თემის შესწავლა მისი ისტორიული ექსკურსის გარეშე არასიღრმისეულია. ამასთანავე, გამოყენებულია მასალის თეორიული ანალიზი, ლოგიკურ-სინთეზური, შედარებითი და სტატისტიკური მეთოდები.

**ნაშრომის სტრუქტურა:** ნაშრომი შედგენილია შესავლისგან, 5 თავისგან, რომელიც დაყოფილია ქვეთავებად და დასკვნისგან.

## თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომი აგებულია ქართველი მეცნიერ იურისტების ნაშრომებისა თუ სახელმძღვანელოების გამოყენებით, გამოყენებულია საკვლევ თემასთან კავშირში მყოფი სხვადასხვა გამოცემებში არსებული სტატიები.

პროკურორის, როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირის და ბრალდების მხარის სრული დეფინიცია, ძირითადად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და მის კომენტარებში არის გადმოცემული. ამასთანავე, არსებობს ქართველ მეცნიერთა შეფასებები და რეკომენდაციები კრებულების და სამეცნიერო ნაშრომების სახით. ნაშრომზე მუშაობისას ძირითადად გამოყენებული იქნა:

1) სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), 2009წ ავტ. კოლექტივი, თბ. 2009 წელი - წიგნში განხილულია სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, იმ საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელიც მათ განიცადეს.

2) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (Commentary on the Criminal Procedure Code of Georgia), ავტ. კოლექტივი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით - არნიშნული სახელმძღვანელო შეიქმნა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის“ (ABA ROLI) მიერ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. აღნიშნული კომენტარები წარმოადგენს ერთგავრ სახელმძღვანელოს, ვინაიდან გაჯერებულია პრაქტიკული მაგალითებით, მარტივად აღსაქმელს და გასააზრებელს ხდის ნორმის შინაარსს.

3) ბ. მეურმიშვილი „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში“, თბ. 2014 წელი - ნაშრომი ეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელების თავისებურებებს ქართულ სისხლის სამართლის პროცესში. ნაშრომში განხილულია სახელმწიფოს ისეთი პროცესუალური მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების წინაპირობებს. აგრეთვე, მოიცავს ერთობ საინტერესო და განსხვავებულ მოსაზრებას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, მისი განხორციელების პრობლემატურ საკითხებზე, რაც დაფუძნებულია მრავალი მეცნიერული ნაშრომის და საგამომიებო-სასამართლო პრაქტიკის ღრმა ანალიზზე.

4) ავტორთა კოლექტივი, „საგამომიებო სისტემის ანალიზი“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია

(სიფა) 2018 წელი - წარმოდგენილ ნაშრომში გაანალიზებულია ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ადგენს გამოძიების წესებს, გამოძიების პროცესში ჩართულ სუბიექტებს შორის ურთიერთობებს, მათი დამოუკიდებლობის ხარისხს როგორც ერთმანეთისგან, ისე გარეშე სუბიექტებისგან. ამ კუთხით, განსაკუთრებით საინტერესოა პროკურორსა და გამომძიებელს შორის არსებული სუბორდინაცია – კერძოდ, რამდენად მასშტაბურია გამოძიებაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა, რა ინტენსივობით შეუძლია პროკურორს, რომელიც ამავდროულად არის პროცესის მხარე,საგამომძიებო მოქმედებებში ჩარევა და რა სივრცე რჩება გამომძიებელს, გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ და ობიექტურად. კვლევაში ასევე ყურადღება გამახვილებულია საგამომძიებო ორგანოების ინსტიტუციურ მოწყობაზე, გამომძიებლების კვალიფიკაციასა და იმ საკითხებზე, რაც არსებით გავლენას ახდენს გამოძიების ობიექტურობასა და ეფექტიანობაზე.

5) ავტორთა კოლექტივი, „საპროკურორო სამართალი“, თბ. 2019, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ - სახელმძღვანელო წარმოადგენს პრაქტიკული და თეორიული ცოდნის ურთიერთნაზავს. სახელმძღვანელო შედგენილია „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის არქიტექტონიკის გათვალისწინებით. დაწვრილებითაა განხილული საპროკურორო სამართლის საგანი.

## თავი II. პროკურორის სტატუსის ფორმირება

### 2.1. ისტორიული ექსკურსი

„პროკურორი“ ლათინური სიტყვაა და მზრუნველს ნიშნავს. „პროკურატორი“ კი ძველ რომში აღნიშნავდა მმართველს, რწმუნებულს.<sup>1</sup>

პროკურატურა სახელმწიფო ორგანოთა შორის ერთ-ერთი უძველესი ორგანოა. მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტი, პირველად ჩამოყალიბდა საფრანგეთში 1302 წელს, მეფე ფილიპ IV-ის მიერ გამოცემული ორდონანსის საფუძველზე.<sup>2</sup>

პროკურატურის, როგორც სახელმწიფო ბრალდების ორგანოს საწყისები ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროიდან გვხვდება, თუმცა ამ ორგანოს სამშობლოდ საფრანგეთს მიიჩნევენ, სადაც პროკურატურა უკვე შვიდას წელზე მეტია არსებობს, ჩამოყალიბდა 1302 წელს, მეფე ფილიპ IV მიერ გამოცემული ორდონანსის საფუძველზე და წარმოდგენილი იყო საფრანგეთის საკასაციო სასამართლოსთან არსებული გენერალური პროკურორის სახით, ინგლისში აღნიშნული ინსტიტუტი ჩამოყალიბდა მე-15 საუკუნეში, სადაც პროკურატურის ორგანოების ფუნქციებს გარკვეულწილად ასრულებდა საჯარო დევნის დირექტორი, რუსეთში პროკურატურა დაარსდა 1722 წლის 12 აპრილს, პეტრე პირველის ბრძანებით.<sup>3</sup>

პროკურორი ძველ რომში გულისხმობდა სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილ მოხელეს, რომელსაც გააჩნდა ერთდროულად როგორც საზედამხედველო, ისე წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ფუნქცია.

თითქმის ანალოგიური დატვირთვა ჰქონდა XII-XIV საუკუნეების მიჯნაზე საფრანგეთში შექმნილ მეფის პროკურორების ინსტიტუტს. მათ მოსახლეობა „მეფის კაცების“ სახელითაც მოიხსენიებდა, რადგან თავდაპირველად მეფის პროკურორები მხოლოდ მეფის კერძო ინტერესებს, კერძოდ მის მიწებს, მოსავალს, ქონებას იცავდნენ, თუმცა მოგვიანებით მათი აყვანა საკუთარი ინტერესების დასაცავად შეეძლოთ ასევე საერო და სასულიერო წრის წარმომადგენლებს.

იმის გამო, რომ სასამართლოში მეფის სახელით მოლაპარაკე პროკურორებმა მონარქთა ნდობა გაამართლეს, ისინი დროის მცირე მონაკვეთში სახელისუფლებო სტრუქტურებთან ინტენსიური თანამშრომლობის ზრდის ხარჯზე თავად იქცნენ სახელმწიფოს

<sup>1</sup> ი. აქუზარდია, „საქართველოს პროკურატურის ისტორია და თანამედროვე ორგანიზაცია“, თბ., 1999., გვ.3

<sup>2</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), „სამართალი“, თბ. 2009, გვ.198

<sup>3</sup> გ.აბაშიძე, „პროკურორი გამოძიების სტადიაზე“. თბ. 2012, „უნივერსალი“ გვ.20

ადმინისტრაციული მექანიზმის უმნიშვნელოვანეს რგოლად. შესაბამისად, იზრდებოდა მათი უფლებამოსილების წრე, რადგან გარკვეული როის გასვლის შემდეგ მათ მიენიჭათ განსაკუთრებული უფლება ეწარმოებინათ სისხლისსამართლებრივი დევნა საქმეზე წინასწარი შემოწმებიდან დაწყებული, გამოძიებისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებისთვის მხარდაჭერის ჩათვლით. მეტიც, ისინი მიიღებდნენ რა შესაბამის ცნობებს ქონების მიტაცების თაობაზე, 1357 წლის „დიდი ორდონის“ ძალით, მაშნაც კი, თუ დაზარალებულთა მხრიდან არ შევიდოდა სარჩელი ან საჩივარი, ვალდებულნი იყვნენ უმკაცრესად დაესაჯათ მიმტაცებლები, ხოლო ამგვარი ბრძანების გამცემები გადაეყენებინათ დაკავებული თანამდებობიდან და ეიძულებინათ ისინი, გადაეხადათ ყველა დანახარჯი და ზარალი.<sup>4</sup>

პროფესორი გოჩა ფერაძე აღნიშნავს, რომ ძველ საფრანგეთში გავრცელებულ გამოთქმას, „პროკურორი მეფის თვალია“ ჰქონდა რეალური საფუძველი, რადგან სწორედ პროკურორების მეშვეობით საფრანგეთის მეფეები წარმატებით აკონტროლებდნენ არმარტო გამოძიებას, არამედ სახელმწიფო მექანიზმის ფუნქციონირებას სრულიად.<sup>5</sup>

ძველ ქართულ სამართალში ტერმინი „პროკურატურა“ არ ფიგურირებს, ამასთან, აღნიშნული სიტყვა არაა მოხსენიებული საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობისას პროკურატურა უძლიერესი სახელმწიფო ორგანო იყო. მას სახელმწიფოს თვალს უწოდებდნენ. თანამედროვე პერიოდში სამართლებრივი რეფორმების შედეგად, პროკურატურამ ინსტიტუციური ცვლილებები განიცადა.<sup>6</sup>

საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ (1922 წლის დეკემბერი) დაარსდა საბჭოთა კავშირის პროკურატურა, რომელიც იწოდებოდა საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პროკურატურად. 1933 წლიდან პროკურატურას შეეცვალა სახელი და მას მოიხსენებდნენ საბჭოთა კავშირის პროკურატურად. 1936 წლამდე ის წარმოადგენდა იუსტიციის სისტემის შემადგენელ ნაწილს. 1936 წელს კი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით, პროკურატურა გამოეყო იუსტიციის ერთიან სამართლებრივ სივრცეს და ჩამოყალიბდა ცალკე სისტემად.<sup>7</sup>

„საბჭოთა კავშირის პროკურატურის შესახებ“ კანონის თანახმად, პროკურორი წარმოადგენდა არამხოლოდ სახელმწიფო ბრალმდებელს, არამედ ევალებოდა სახელმწიფო

<sup>4</sup> კ.მონიავა, მ, მამნიაშვილი და სხვები, „საპროკურორო სამართალი“, „იურისტების სამყარო“, თბ. 2019, გვ. 13-14

<sup>5</sup> გ.ფერაძე, „პროკურატურის ისტორიისთვის საქართველოში, ნარკვევი I, VI-XVIII საუკუნეები“, „მერიდიანი“, თბ., 2017, გვ. 173-175

<sup>6</sup> ი. აქუბარდია და სხვები, რედ: რ. გოგშელიძე, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), „სამართალი“, თბ.2009, გვ.199

<sup>7</sup> კ.მონიავა, მ, მამნიაშვილი და სხვები, „საპროკურორო სამართალი“, „იურისტების სამყარო“, თბ. 2019, გვ.19

მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ყველანაირი უკანონო გადაწყვეტილების გაპროტესტება, თუ ეს ეხებოდა პოლიტიკურ, შრომით, ქონებრივ და სხვა პირად უფლებებს. ე.ი, ახორციელებდა ზედამხედველობას იმაზე, თუ როგორ სრულდებოდა კანონის მოთხოვნები სახელმწიფოში. ამ სახის ზედამხედველობა კი იწოდებოდა საერთო ზედამხედველობად. საერთო ზედამხედველობის არსი კი მდგომარეობდა იმაში, რომ პროკურორები აღჭურვილნი იყვნენ ფართო უფლებებით, რაც შესაძლებლობას იძლეოდაშეესრულებინათ მათ წინაშე მდგარი მოვალეობები.<sup>8</sup>

საერთო ზედამხედველობასთან ერთად, პროკურატურა ახორციელებდა ზედამხედველობას მოკვლევასა და წინასწარი გამოძიები სოროგანოების მიერ კანონის ზუსტ შესრულებაზე. 1961 წლის რედაქციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, პროკურორი ვალდებული იყო სს წარმოების ყველა სტადიაზე მიეღო კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, რატა აღმოეფხვრა კანონის ყოვეგვარი დარღვევა, მიუხედავად იმისა, თუ ვისგან მომდინარეობდა იგი. შესაბამისად, ამ ფუნქციის შესრულების პროცესში პროკურორი ვალდებული იყო თვალყური ედევნებინა, რომ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოს დაეცვა კანონმდებლობით დადგენილი წესები სს საქმეთა აღძვრისას და გამოძიების პროცესში, ასევე მიეღო ზომები, რომ არცერთი საქმე არ დაეჩენილიყო გაუხსნელი და დამნაშავეს არ მისცემოდა შესაძლებლობა თავი დაეღწია მოსალოდნელი სასჯელისგან. პროკურატურა პასუხს აგებდა მოქალაქეთა დაპატიმრების დასაბუთებასა და კანონიერებაზეც.

რუსეთის იმპერიის ნაწილად ყოფნის დროს საქართველოში პროკურატურა სწორედ აღნიშნული ქვეყნის გავლენით დაარსდა, 1917 წლამდე, ხოლო იმპერიის დაშლის შემდგომ კი, დამოუკიდებლობის სამი წლის განმავლობაში, იგი არსებობდა სასამართლოებთან და არა დამოუკიდებელი ორგანოს სახით. (1919 წლის 29 ივნისს საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის მიერ მიღებული კანონით დამტკიცდა ”საქართველოს სენატის დებულება”).

დამოუკიდებლობის დაკარგვასა და გასაბჭოებასთან ერთად კი, 1922 წელს დაარსდა საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურა. აღსანიშნავია, რომ უკვე ამ დროიდანვე, პირველივე ნორმატიული აქტით - საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული „საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ“ 1922 წლის 11 ნოემბრის დებულებით, პროკურორს ფართო უფლებამოსილებანი ენიჭებოდა.

1922 წლის 11 ნოემბერს დადგენილების- “პროკურატურის შემოღების შესახებ“ საფუძველზე დამტკიცდა დებულება „პროკურატურის შესახებ“. მას რესპუბლიკის

---

<sup>8</sup> პ.მონიავა, მ, მამნიაშვილი და სხვები, „საპროკურორო სამართალი“, „იურისტების სამყარო“, თბ. 2019, გვ.21

პროკურორის სახით ხელმძღვანელობდა იუსტიციის სახალხო კომისარი. აღნიშნული დებულება წარმოადგენს საპროკურორო ზედამხედველობის მარეგულირებელ პირველ საკანონმდებლო აქტს, რის საფუძველზეც შეიქმნა საქართველოს პროკურატურა, რომელიც შევიდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის უწყებაში. ამავე დებულებით, საქართველოს პროკურატურას დაევალა სახელმწიფოს სახელით ზედამხედველობის განხორციელება ხელისუფლების ყველა ორგანოს, სამეურნეო დაწესებულების, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების მოქმედების კანონიერებაზე, დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში სისხლის სამართლის დევნის დაწყება. დაევალა, ასევე საგამომიებო ორგანოზე უშუალო მეთვალყურეობა, სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერა და მეთვალყურეობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონიერების დაცვაზე.

ამდენად, პროკურატურის დაარსებით შეიქმნა სპეციალური დაწესებულება, რომელიც ზედამხედველობდა კანონის დებულებათა აღსრულებას ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, ასევე, იგი აკონტროლებდა თანამდებობისა და კერძო პირების მოქმედებებს, წინასწარგამომიებას, სასამართლო კანონთა დაცვასა და დაპატიმრების კანონიერებაზე ზედამხედველობას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წლების გასვლასთან ერთად, საქართველოს პროკურატურის სტრუქტურა იცვლებოდა, თუმცა ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თავდაპირველად საფუძვლად დაედო ამ უწყების შექმნას, უცვლელი რჩებოდა. შემდგომ წლებში განხორციელებული ცვლილებების წყალობით, პროკურატურა გამოეყო იუსტიციის სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროკურატურა დაექვემდებარა სსრკ-ის პროკურატურას, შემოღებულ იქნა პროკურატურის ორგანოთა ცენტრალიზებული აგება და ეს სტრუქტურა შენარჩუნდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 1992 წლის 17 ივნისს საქართველოს სახელმწიფოს საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის შესახებ“. აღნიშნულ დებულებაში შეტანილი ცვლილებით, მნიშვნელოვნად შეიზღუდა პროკურატურის უფლებები. პროკურატურას ჩამოერთვა საერთო ზედამხედველობის ფუნქცია.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიხედვით, პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების ორგანო იყო.<sup>9</sup>

პროკურატურის სასამართლოსადმი დამოკიდებულება 2004 წლის 6 თებერვალს შეიცვალა, როდესაც საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა და სწორედ ამ

---

<sup>9</sup> ი.გაბისონია, (1999). პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. თბ. შპს "ფავორიტი", გვ. 17.

ცვლილებათა წყალობით, პროკურატურა სრულიად დამოუკიდებელ, ერთიან ორგანოდ გარდაიქმნა, 2008 წლის 21 ოქტომბერს მიღებულ იქნა კანონი „პროკურატურის შესახებ“, რომლის მიხედვით პროკურატურა შევიდა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში, როგორც საქვეუწყებო დაწესებულება.<sup>10</sup>

2018 წლის 30 ნოემბერს მიღებულ იქნა პროკურატურის შესახებ ორგანული კანონი, რომლის მიხედვითაც, პროკურატურა გამოეყო იუსტიციის სამინისტროს და კვლავ დამოუკიდებელი ორგანოს სახით ჩამოყალიბდა.

## 2.2. პროკურორის სტატუსი და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს პროკურატურა წარმოადგენდა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებას და არ შედიოდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 81<sup>4</sup> -ე მუხლში განხორციელებული ცვლილებით კი საქართველოს პროკურატურა გახდა აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი ნაწილი იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სახით, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებდა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 21 ოქტომბრის კანონის საფუძველზე.

საქართველოს პროკურატურა, როგორც ხელოვნური წარმონაქმნი, გარეგნულად, თუმცა წარმოდგენილი იყო როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, მაგრამ რეალურად მხოლოდ 2017 წლის 13 ოქტომბრის საქართველოს კონსტიტუციური კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებული რედაქციით საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის შესაბამისად გახდა ფაქტობრივად დამოუკიდებელი, რადგან კონსტიტუციის ძალით მიენიჭა ერთიანი ცენტრალიზებული სისტემის სტატუსი.

პროკურატურის ორგანიზაციას, უფლებამოსილებას და საქმიანობის წესს განსაზღვრავს 2018 წლის 30 ნოემბერს მიღებული „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონი.

პროკურატურის ფუნქციები, საპროცესო უფლებამოსილება და პროკურორის სამართლებრივი სტატუსი რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. პროკურორის სამართლებრივი მდგომარეობა პროცესში, მისი საქმიანობის ფორმები და მეთოდები განისაზღვრება სამართალწარმოების საერთო ამოცანებითა და იმ უშუალო ამოცანებით, რომლებიც უნდა გადაწყდეს ყოველ ცალკეულ სტადიაზე.<sup>11</sup>

<sup>10</sup> გ.აბაშიძე, „პროკურორი გამოძიების სტადიაზე“, თბ., „უნივერსალი“, 2012.

<sup>11</sup> ი. აქუბარდია და სხვები, რედ: რ. გოგშელიძე, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), „სამართალი“, თბ.2009, გვ.199

სსსკ-ის 33-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, პროკურორი საკუთარ უფლებამოსილების ახორციელებს სახელმწიფოს სახელით, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას და ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი.

სისხლის სამართლის პროცესში პროკურატურას სამი ძირითადი ფუნქცია გააჩნია: სს დევნის განხორციელების, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის. აღნიშნულ ფუნქციებს პროკურატურა ახორციელებს პროკურორების მეშვეობით. თითოეულ ეტაპზე პროკურორს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი აქვს. პროკურორი საკმაოდ აქტიურად მონაწილეობს სს პროცესში. საპროცესო ხელმძღვანელობას უწევს გამოძიების მიმდინარეობას, დანაშაულის ფაქტის და მისი ჩამდენი პირის დადგენის მიზნით.<sup>12</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში კანონმდებელმა განმარტა, რომ პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურატურა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.<sup>13</sup>

საქართველოს პროკურატურა არის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. დაუშვებელია პროკურატურის საქმიანობაში ჩარევა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს მისი დამოუკიდებლობა.<sup>14</sup>

„პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონი თავად განსაზღვრავს უწყების საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს.<sup>15</sup> პროკურატურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, ეს კანონი და სხვა სამართლებრივი აქტები. საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირაა გაცხადებული, რომ საქართველოს პროკურატურა არის თავის საქმიანობაში დამოუკიდებელი, ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს.<sup>16</sup>

საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენს 1950 წლის 4 ნოემბრის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ შესახებ რომის

<sup>12</sup> ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი და სხვები, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი“, თბ., 2015. გვ.154

<sup>13</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხლი 32

<sup>14</sup> საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, 2018, მუხ.6, ნაწ.1

<sup>15</sup> იქვე. მუხ.3

<sup>16</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მუხ.65, ნაწ.1

კონვენცია; გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“.

სამართლებრივ საფუძვლებში მნიშვნელოვან როლს იკავებს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, რომელშიც პირდაპირაა გაწერილი, რომ პროკურატურა კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს:

ა) ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას;

ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას;

გ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას;

დ) ზედამხედველობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობის იმ ნაწილს, რომელიც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით ექცევა საპროკურორო უფლებამოსილების ფარგლებში;

ე) რეაგირებას ახდენს თავისუფლებააღკვეთილ და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე და ასრულებს საპროცესო მოვალეობებს იმ დაწესებულებებში, რომლებიც სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებით ღონისძიებებს ასრულებენ;

ვ) სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას;

ზ) სახელმწიფოს სახელით, როგორც მოსარჩელე, მონაწილეობს რეკეტის, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის/ „კანონიერი ქურდის“, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეებში;

თ) ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;

ი) კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და დანაშაულის პრევენციას.<sup>17</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესრულებისას პროკურატურა ხელმძღვანელობს საქმიანობის შემდგომი პრინციპებით:

ა) კანონიერება და სამართლიანობა;

ბ) ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;

გ) პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;

<sup>17</sup> საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, 2018, მუხ.4, ნაწ.1

დ) ერთიანობა და ცენტრალიზაცია, ყველა ქვემდგომი პროკურორისა და პროკურატურის სხვა თანამშრომლის გენერალური პროკურორისადმი დაქვემდებარება;

ე) პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და ღირსების ხელშეუხებლობა;

ვ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

### **2.3. პროკურორის სტატუსი და მისი მონაწილეობის ხარისხი საგამომიებო ღონისძიებაში**

გამომიების პროცესში ადმინისტრაციული რესურსის შეზღუდვისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ერთმანეთისგან დისტანცირებული იყვნენ საპროკურორო და გამომიების ფუნქციით აღჭურვილი სამსახურები ოპერაციული და ინსტიტუციური თვალსაზრისით. აღნიშნულის მისაღწევად კი საჭიროა, კანონმდებლობით ნათლად იყოს განსაზღვრული მათი ინსტიტუციური მიზნები, სტატუსები და მათ შორის დაწესდეს სტრუქტურული ბარიერები და შემოწმების მექანიზმები.

საქართველოს კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრას პროკურორის ფუნქციას და ანიჭებს მას ექსკლუზიურ უფლებას განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა. ზემოთხსენებული ფუნქციის განსახორციელებლად კი სხვადასხვა სამართლებრივ ბერკეტებთან ერთად აძლევს მას უფლებამოსილებას განახორციელოს გამომიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობა.

საპროცესო კოდექსის თანახმად პროკურორი გამომიებაში საწყისი ეტაპიდანვე ერთვება და გამომიებაში აქტიურად მონაწილე ფიგურაა. გამომიებისას პროკურორის აქტიური მონაწილეობა გამოიხატება შემდეგში: იგი გამომიებელს აძლევს სავალდებულო მითითებებს; საგამომიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით, სისხლის სამართლის საქმის გამომიებას ავალებს კონკრეტულ გამომიებელს ან პირიქით გამომიებელს ჩამოართმევს საქმეს. პროკურორს აქვს სრული უფლებამოსილება ჩაერთოს გამომიების პროცესში ან უშუალოდ აიღოს გამომიებლის ფუნქცია თავის თავზე და ისარგებლოს მისი სტატუსით; საქართველოს კანონმდებლობით პროკურორს აქვს შეუზღუდავი უფლებამოსილება გაეცნოს საქმის ცალკეულ დეტალებს ან მთლიანად საქმეს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში შეწყვიტოს გამომიება.

საპროცესო კანონმდებლობით გაწერილია პროკურორის სავალდებულო მონაწილეობა ცალკეულ საგამომიებო ღონისძიებებსა და საპროცესო მოქმედებებში, კერძოდ: პროკურორი ექსკლუზიურად არის უფლებამოსილი სასამართლოს მიმართოს ისეთ საგამომიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებებზე ნებართვის მიღების მიზნით, რომელიც ზღუდავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს და თავისუფლებებს. სწორედ ასეთივე ღონისძიებებს მიეკუთვნება: ჩხრეკა, ამოღება, ფარული საგამომიებო ღონისძიებები და სხვა.

ზემოთხსენებული საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარებაზე დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება გამომძიებელს არ შეუძლია, რაც ფაქტობრივად საგამოძიებო პროცესში მას ხდის პროკურორზე დამოკიდებულს, ე.ი პროკურორი გველინება ცენტრალურ ფიგურად ამ პროცესში.

პრაქტიკაში მტკიცებულების მოპოვების პროცესი, სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოებში განსხვავებულად მიმდინარეობს. ხშირ შემთხვევებში მტკიცებულებათა მოპოვების დაგეგმვის პროცესი პროკურორის უშუალო ჩართულობით და მითითებებით მიმდინარეობს, რაც ხშირ შემთხვევებში განპირობებულია იმით, რომ გამომძიებლები ერიდებიან სრული პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ თავზე, რაც შესაძლებელია იყოს განპირობებული კვალიფიკაციის პრობლემით ან სხვა რაიმე მიზეზით.

არსებობს საგამოძიებო ორგანოები, სადაც მტკიცებულებათა მოპოვების გეგმას ადგენს გამომძიებელი პროკურორთან კოორდინაციით. შედარებით სუსტია პროკურორის ჩართულობა მარტივი კატეგორიის საქმეებზე სადაც მეტი ინიციატივით გამოირჩევა გამომძიებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ფარგლები საკმაოდ ფართოა და ფაქტობრივად მოიცავს გამოძიების ყველა მნიშვნელოვან გარემოებას. შესაბამისად ლოგიკურია კითხვა: უნდა წარმართავდეს პროკურორი გამოძიებას თვითონ, თუ იგი უნდა იყოს მისი მაკონტროლებელი როგორც კანონიერების ისე მისი ეფექტიანობის თვალსაზრისით?

საერთო სამართლის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია პროკურორის მაქსიმალური დისტანცირება საგამოძიებო სტადიიდან. ამერიკის შეერთებული შტატების, უელსის და ინგლისის კანონმდებლობებით, პროკურორი არ არის უფლებამოსილი უშუალოდ აწარმოოს გამოძიება ან თუნდაც მიუთითოს საგამოძიებო ორგანოს, რომელიმე საგამოძიებო მოქმედების შესრულებისკენ, მეტიც იგი არ მონაწილეობს არც საგამოძიებო სტრატეგიის განსაზღვრაში. აღნიშნულის სისტემის მქონე ქვეყნებში პროკურორს მხოლოდ საგამოძიებო ორგანოს მიმართვის საფუძველზე აქვს უფლება გაუწიოს მას სამართლებრივი კონსულტაცია, რომელსაც აქვს სარეკომენდაციო ხასიათი და საგამოძიებო ორგანოსთვის არ წარმოადგენს შესასრულებლად სავალდებულოს ნორმას.<sup>18</sup>

ამერიკის შეერთებულ შტატებში, უელსში და ინგლისში გამოძიების დაწყების დისკრეცია აქვს პოლიციას, რომელსაც აქვს გამოძიების სრულად წარმართვის უფლებამოსილება და არ მიიჩნევა ბრალდების მხარედ. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობაც ნებისმიერ საქმის გამოძიებაზე ეკისრება არა პროკურორს ან გამომძიებელს, არამედ უშუალოდ ზემოთხსენებული საგამოძიებო ორგანოს კონკრეტული საქმის გამომძიებელს და მისი ზემდგომი სტატუსის მქონე

<sup>18</sup> JACKSON R.H. (1940), The Federal Prosecutor. 3(5) journal Of Criminal Law an Criminology, pp.3-6

გამომდიებელს. ხსენებული ქვეყნების საგამომიებო ორგანოები თვითონ, პროკურორის გარეშე, არიან უფლებამოსილები უზრუნველყონ დაზარელებულთა უსაფრთხოებაც და მტკიცებულებების მოპოვებაც.

## 2.4. გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფარგლები და მისი მიზნები

საპროცესო კოდექსის მიხედვით, პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის ექსკლუზიური უფლებით აღჭურვილი პირია და აღნიშნული უფლებამოსილების ეფექტიანად შესრულების მიზნით გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელიცაა. სისხლისსამართლებრივი დევნის წინაპირობა ეფექტიანი გამოძიებაა, რასაც ლოგიკურია რომ მივყავართ იმ აზრამდე, რომ პროკურორის გამოძიებაზე ხელმძღვანელობითი მიზანი არის სისხლისსამართლებრივი დევნის უკეთ განხორციელება და არა გამოძიების სრულყოფილად და ობიექტურად წარმართვა.

გამოძიების პროცესში, პროკურორი მასზე დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით ნეიტრალური ფიგურა ვერ იქნება და მისი პრიორიტეტი ბრალდების მხარის სასარგებლო მტკიცებულებების მოპოვებაა. ვინაიდან სისხლის სამართლის პროცესში პროკურორი არის მხარე, მის მიერ საქმის გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობას უნდა ჰქონდეს შეზღუდული მასშტაბი და გამოძიების პროცესში მისი ჩართულობა უნდა იყოს შემცირებული მინიმუმამდე, თუმცა პრაქტიკაში ყველაფერი პირიქით არის და შესაბამისად პროკურორის საგამომიებო პროცესში ართულობაც შეუზღუდავია.

საგამომიებო პროცესში პროკურორის საზედამცხედველობო ფუნქცია შესაძლებელია გამოიხატოს იმითაც, რომ მას შეუძლია გამომდიებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება. გამოძიების ეტაპზე იგი ასევე უფლებამოსილია გამომდიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების თაობაზე განიხილოს საჩივარი და გარკვეული პერიოდულობით მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის მასალები. გარდა ამისა, საპროცესო კოდექსმა პროკურორი აღჭურვა უფლებამოსილებით, საგამომიებო ქვემდებარეობის დაცვით, ჩამოაშოროს გამოძიების პროცესს კონკრეტული გამომდიებელი და საქმე გადასცეს სხვა გამომდიებელს.

ასევე აღსანიშნავია, რომ გამომდიებელსაც აქვს პროცესუალური ბერკეტი პროკურორთან ურთიერთობის დროს, რაც გამოიხარტება იმასში, რომ გამომდიებელს აქვს უფლება უარი თქვას პროკურორის მითითების შესრულებაზე, რისთვისაც მან წერილობით უნდა წარუდგინოს მისი მოსაზრებები და საქმე ზემდგომ პროკურორს. ასეთ შემთხვევაში ზემდგომი პროკურორი აუქმებს ქვემდგომის მითითებას ან მის შესრულებას ავალებს სხვა გამომდიებელს.

საპროცესო ზედამხედველობის ასევე მნიშვნელოვანი ელემენტია გამომძიებლის ქმედების კანონიერების კონტროლი. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 33-ე მუხლის მე-6-ე ნაწილის თ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით გამომძიებლის ქმედებები საჩივრდება ზედამხედველ პროკურორთან, თუმცა ხსენებული გასაჩივრების მექანიზმი ფაქტობრივად აზრს კარგავს, რადგან როგორც ზევითაც აღვნიშნეთ დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, პროკურორი გამოძიების დაწყების მომენტიდან წარმოადგენს გამოძიებაში აქტიურად ჩართულ სუბიექტს და ყველა მნიშვნელოვანი საგამომძიებო მოქმედა ან უშუალოდ მისი მითითებით სრულდება ან იგი ინფორმირებულია კონკრეტული ქმედებების შესახებ გამომძიებლის მხრიდან, შესაბამისად გამოდის, რომ პროკურორთან საჩივრდება გამოძიების ეტაპზე განხორციელებული ის ქმედებები, რომლების შესახებაც იგი როგორც მინიმუმ ინფორმირებული იყო.

თვალსაჩინოა, რომ ბალანსი საგამომძიებო სისტემაში დარღვეულია, რადგან გამომძიებლი ოპერაციულად დაქვემდებარებულია პროკურორზე და ასევე ეს უკანასკნელი გამოძიებაზე ზედამხედველობის აბსოლიტური უფლებამოსილებით სარგებლობს, ეს ყველაფერი კი ქმნის ვითარებას, როდესაც გამომძიებელს არ აქვს გამოძიების ყოველმხრივ წარმართვის პასუხისმგებლობა და შესაძლებლობა. ამავდროულად პროკურორი საგამომძიებო პროცესის და გამომძიებლის არათუ ნეიტრალური მაკონტროლებელია არამედ გამოძიების უშუალოდ წარმართველი და ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმღები. სწორედ ასეთი პირობები ქმნის ბუნდოვანებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა უფრო პრიორიტეტულია პროკურორისთვის: ეფექტიანი გამოძიება, რომლის ფარგლებშიც დაცულია მოქალაქის უფლებები, თუ საქმის მომზადება სისხლისსამართლებრივი დევნისთვის და მასზე დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენი?!

## თავი III. სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტის მიმოხილვა

### 3.1. სისხლისსამართლებრივი დევნის არსი და სახეები

სისხლისსამართლებრივი დევნის, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო ინსტიტუტის წარმოშობის და განვითარების ისტორია ერთობ საინტერესოა. აღნიშნული საპროცესო ტერმინი იმ ფორმით და შინაარსით, როგორც დღეს არის ჩამოყალიბებული და ასახული ქართულ მეცნიერებასა და კანონმდებლობაში, ძველ ქართულ სამართალში, ცხადია არ იქნებოდა. ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბებას, განვითარების გარკვეული ეტაპების გავლა და არაერთი ქვეყნის გამოცდილების გაზიარება დასჭირდა.<sup>19</sup>

დღეს, სისხლის სამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოქმედებათა ერთობლიობაა, რომელსაც ახორციელებენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად.<sup>20</sup>

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმართულია დანაშაულის ჩამდენი პირის წინააღმდეგ და ემსახურება საჯარო ინტერესის დაცვას. ამ მხრივ, ფრიად საინტერესოა იმის დადგენა, ძველ ქართულ სამართალში არსებობდა თუ არა სისხლის სამართლებრივი დევნის მსგავსი ინსტიტუტი ან სახელმწიფო დაწესებულება, რომლის საქმიანობას წარმოადგენდა დამნაშავეს გამოვლენა და მისი დასჯა.

აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებით უამრავი საინტერესო ინფორმაცია არსებობს ქართული სამართლის ძეგლებში. ისტორიულად ფეოდალური სახელმწიფოების სასამართლო წარმოებისათვის ცნობილია პროცესის ორი ძირითადი ფორმა. პირველი - საბრალდებო პროცესი, რომელიც არსებობდა ფეოდალური სახელმწიფოების აღორძინების ეპოქაში და მეორე - სამძებრო, იგივე ინკვიზიციური პროცესი, რომელიც დამახასიათებელია ფეოდალიზმის უფრო გვიანდელი პერიოდისათვის. XIX საუკუნეში აღნიშნული პროცესის ტიპების ზოგიერთი ელემენტის შერწყმის შედეგად კი წარმოიშვა პროცესის მესამე ტიპი, რომელსაც შერეულ პროცესს უწოდებენ.<sup>21</sup>

როდესაც ფეოდალურ სახელმწიფოებში დაიწყო ბრძოლა დაქსაქსულობის აღმოსაფხვრელად და მეფის ხელისუფლების გასაძლიერებლად, საბრალდებო პროცესის ფორმა უკვე ნაკლებად შეესაბამებოდა ცენტრალური სახელმწიფოს შექმნის იდეას. ამიტომ პროცესის ამ ფორმამ თანდათანობით ადგილი დაუთმო ე.წ. სამძებრო ინკვიზიციურ პროცესს, რომელიც

<sup>19</sup> „სამართლის ჟურნალი“, ბ.მეურმიშვილი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013 N2, გვ.5

<sup>20</sup> გ.აბაშიძე, პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი (გამოძიების სტადიაზე), თბ., 2011, გვ.9

<sup>21</sup> ალ. ვაჩიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, ნაკვეთი I, თბ., 1955, გვ.30.

მალე პროცესის გაბატონებულ ფორმად გადაიქცა. განვითარდა ე.წ. „ოფიციალური დევნის პრინციპი“, რა დროსაც „სისხლისსამართლის დევნის აღძვრა“ კერძო პირის უფლებიდან სახელმწიფოს პრეროგატივად გადაიქცა. სახელმწიფომ, სპეციალური მოხელეების საშუალებით, თავისი ინიციატივით დაიწყო სისხლის სამართალწარმოება. სამმებრო პროცესმა, განსხვავებით საბრალდებო პროცესისგან, უარყო შეჯიბრებითობის პრინციპი, სამართალწარმოებამ საიდუმლო დაწერილობითი ხასიათი მიიღო. მხარეები პროცესის თანასწორუფლებიანი სუბიექტები აღარ არიან. პროცესი ორ სტადიად დაიწყო. წინასწარ გამოძიებას გადაწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა, რა დროსაც ხდებოდა მტკიცებულებების შეკრება. მოსამართლეს, რომელსაც საქმის გამოძიება დაეკისრა, განუსაზღვრელი უფლებები გააჩნდა. სამმებრო პროცესის დამახასიათებელი ელემენტი იყო ასევე, საქმის დახურულ სხდომაზე განხილვა და განაჩენის საჯაროდ გამოცხადების უარყოფა. მტკიცებულებათა შორის პირველი ადგილი დაიკავა ბრალდებულის აღიარებითმა ჩვენებამ, რომელსაც „მტკიცების დედოფალი“ ეწოდა. სამმებრო, ანუ ინკვიზიციური პროცესისათვის ცნობილია განაჩენის სამი სახე: გამამტყუნებელი, გამამართლებელი და ბრალდებულის ეჭვის ქვეშ დატოვება. განაჩენის ამ უკანასკნელ სახეს ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც სასამართლოს მიერ შეკრებილი მტკიცებულებანი საკმარისი არ იყო ბრალდებულის არც გასამართლებლად და არც გასამტყუნებლად, საქმე გადაუწყვეტელი რჩებოდა განსზღვრული ან განუსაზღვრელი ვადი, ახალ გარემოებათა აღმოჩენამდე.<sup>22</sup>

თემის უკეთ გააზრების მიზნით უპრიანია, თუკი მის განვითარებას განვიხილავთ ისტორიულ ჭრილში როგორც ქართული სამართლის ისტორიის, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების მიხედვით.

### **3.2. დევნის განმახორციელებელი ორგანო - „მპარავთმძებნელთა ინსტიტუტი“**

ცნობილია, რომ მე-12 საუკუნეში და შეიძლება უფრო ადრეც, საქართველოში არსებობდა მპარავთმძებნელთა დაწესებულება, რომლის დანიშნულება იყო ქურდობის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. მპარავთმძებნელობის ინსტიტუტი დამოწმებულია გიორგი III-ის სიგელში. აღნიშნულ სიგელში საუბარია სამპარავთმძებნელო სასამართლოზე. დოკუმენტში ნათქვამია: „სამართალი სამპარავთ-მეძებნოი არცარაი წინაის შერულა, ნუ ცასა და აწ შევლენ ჩუენნი მპარავთმძებნელი, თუინიერ, თუ გარეთი ნაპარევი შელა-დეს მლუიმისა გლესხა. თუ მრავალჯერ ეპაროს მას კაცსა, ანუ ჩამოარჩონ ჩუენტა ჩენილთა, ანუ გაპატიჟონ, და თუ

<sup>22</sup> მ. ლევკვიშვილი, სასამართლო პროცესი მე-17-მე-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 3-4.

გარდაიხუეწოს სხუაგან, სდევენენ ჩუენნი ჩენილნი. და მის სასაქონლესა თანა არაი საქმე უც ჩუენტა მპარავთ-მეძებელთა, თუით მემღუიმისა ხელი სუფალმან თავნი ნაპარევისა პატრონსა შეუქცივნეს და სამართალი წმიდისა უდაბნოისა თუ ისაილოს“.<sup>23</sup>

სიგელის ზემოთ მითითებული მონაკვეთიდან ნათლად ჩანს, რომ იმ პერიოდში საქართველოში არსებობდა „სამპარავთმეძებლო“ სახელმწიფო დაწესებულება, რომლის მოვალეობას მპარავთა ძებნა, აღმოჩენა, დევნა და გასამართლება წარმოადგენდა. მპარავთმეძებელთა საქმიანობა, ძირითადად იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლა. სამპარავთმეძებლო ორგანო მიზნად ისახავდა მკაცრი ზომებით დაეთრგუნა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენი. მპარავთმეძებელი იძიებდა ასეთი კატეგორიის საქმეებს და დანაშაულის ჩამდენთა გასამართლების ფუნქციაც ჰქონდა. მოგვიანებით მპარავთმეძებელი შეცვალა მეკობრეთმეძებელმა, ხოლო დასტურლამალის მიხედვით ამ ფუნქციით მეკობრეთმეძებლის ნაცვლად ხევსთავია აღჭურვილი.

სვიმონ მეფის 1590 წლის სიგელში საუბარია მეკობრეთმეძებნელებზე. ისინი მეკობრეებს და ქურდებს სდევნიდნენ. შემდგომ პერიოდში კი მათ ფუნქციას ახორციელებდნენ ხევსთავები.

აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდის სისხლის სამართლის პროცესი აგებული იყო „საბრალმდებლო“ პრინციპზე, რაც გულისხმობდა იმას, რომ კერძო პირები წარმოადგენდნენ ბრალმდებლებს, მათი თაოსნობით და აქტიურობით ხდებოდა სამართალწარმოება. მაგრამ სასამართლო სისტემის ერთ რგოლში, რომელიც მიზნად ისახავდა ქურდების წინააღმდეგ ბრძოლას, კანონმდებელმა საჭიროდ მიიჩნია სპეციფიკური საპროცესო წარმოების შემოღება. ეს ფორმა როგორც უფრო მკვეთრი და მოქნილი, სახელმწიფოს დასჭირდა მზარდ დანაშაულთან საბრძოლველად, რომელიც მომეტებული საშიშროების გამო ემუქრებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებს. ხელისუფლება იმ კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც მის მიერ დამყარებულ მართლწესრიგს არღვევენ, სხვადასხვა მეთოდებს იყენებს, რომელთა შორის ერთ-ერთი სისხლის სამართლის პროცესია.<sup>24</sup>

### 3.3. ვახტანგ VI-ის კანონების მიხედვით დევნის პრინციპები

ვახტანგის კანონების კრებულის მიუთითებს, რომ იმ პერიოდისთვის არსებობდნენ საგამომიებო ფუნქციების მქონე სახელმწიფო მოხელეები, რომლებსაც გამომიების უფლება

<sup>23</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ.343.

<sup>24</sup> ალ. ვაჩიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1948, გვ.31.

ჰქონდათ. ინკვიზიციური პროცესის მოქმედების პერიოდში ბრალდების და საქმის გადაწყვეტის ფუნქცია შერწყმული იყო და ბრალდების მხარესაც სამართლო წარმოადგენდა. მდივანბეგი იყო მოხელე, რომელსაც მართლმსაჯულების განხორციელება და სამართლის გარკვევა ევალებოდა და უპირველესად იგი უნდა ყოფილიყო ბრალმდებელიც.

დასტურლამალის მიხედვით, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ხევისთავსაც შეთავსებული ჰქონდა ადგილობრივ დონეზე ბოროტმოქმედთა დევნის განხორციელება.<sup>25</sup> ამავდროულად იგი ახორციელებდა გამოძიებისა და საქმის გადაწყვეტას. დევნის ფუნქციაში მოიაზრება არა მხოლოდ ფიზიკური განდევნა, აღმოჩენა ან დასჯა, არამედ იმ სავალდებულო მოქმედებების შესრულება, რაც თანამედროვე სისხლისსამართლებრივ დევნას ახასიათებს.

### **3.4. ქართული სისხლის სამართლის პროცესი XVIII საუკუნის II ნახევარში**

ქართული სასამართლო პროცესი XVIII საუკუნის II ნახევარში ძირითადად სამძებრო, იგივე ინკვიზიციური ხასიათისაა, თუმცა შეიმჩნევა საბრალდებო პროცესის ელემენტებიც, ამ პერიოდში წინასწარ გამოძიებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეებზე აწარმოებენ როგორც მეფე, ასევე, მეფის დავალებით, ფეოდალები, სხვა დანარჩენ შემთხვევაში მდივანბეგები. აღსანიშნავია, რომ მდივანბეგის იასაული, რომელსაც საგამოძიებო ფუნქცია აქვს მინიჭებული ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, XVIII საუკუნის II ნახევარში არ ჩანს. თუმცა, ზოგადად, იასაულის თანამდებობა იმ პერიოდისთვის არსებობდა. მდივანბეგთა სასამართლოში იასაულის ფუნქცია ცალკეულ საქმეებზე შეიძლებოდა დაკისრებოდა პირთა ფართო წრეს. ეს უკანასკნელნი დავალების შესრულების შემდგომ იასაულის ფუნქციას კარგავდნენ.<sup>26</sup>

### **3.5. სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტის განვითარება კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლის მიხედვით**

ჯერ ისევ შუა საუკუნეთა დროიდან, როცა ინგლისის სისხლის სამართლის პროცესი, თავისი ფორმით იყო მკვეთრად გამოხატული ბრალდებითი, დღემდე მიღებულია დეკლარირება, რომ სს დევნის განხორციელების ინიციატივა არ არის სავალდებულო ეკუთვნოდეს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს. ამას საფუძვლად უდევს ის ზემოთ მოყვანილი

<sup>25</sup> ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, ტომი I, თბ., 1952, გვ.339.

<sup>26</sup> მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, თბ., 1970, გვ.272.

ინგლისური სისხლის სამართალწარმოების დოქტრინის საწყისი დებულება, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის საქმე ეს არის დავა დანაშაულის ჩადენის ფაქტის შესახებ.

მათთვის სამართლებრივი დევნის განმარტება იყო აზრობრივად მარტივი, რომ ნებისმიერი ქმედუნარიანი ინგლისელი, მათ შორის ის, ვინც, არ არის დაზარალებული, უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი დანაშაულის ჩამდენი პირის დევნა.

ინგლისში, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ერთ-ერთ უძველეს ორგანოს წარმოადგენს პოლიცია. ბევრს მიაჩნია, რომ მისი ჩამოყალიბება მოხდა 1663 წელს, როდესაც ლონდონელ დარაჯებს სახელმწიფო ხაზინიდან დამატებით უხდიდნენ ხელფასს სამუშაოსთვის. შემონახულია წერილობით დამადასტურებელი ცნობები იმისა, რომ 1842 წლისთვის ლონდონის პოლიციის შტატი 2 ინსპექტორსა და 6 სერჟანტს ითვლიდა, რომლებიც დანაშაულთა გახსნაზე სპეციალიზირდებოდნენ.

ინგლისის სს წარმოებაში პოლიციას აქტიური როლი უკავია. იგი დანაშაულის თავიდან აცილების, აღკვეთისა და გახსნის მოქმედებათა შესრულებისას უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერ საქმეზე სავსებით პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილება.

ასევე გადაწყვეტილებად ითვლება კონკრეტულ საქმეზე გამამტყუნებელ მტკიცებულებათა შეგროვებასთან დაკავშირებული ნებისმიერ მოქმედებათა წარმოების შესახებ გადაწყვეტილება, ამასთან არ მოეთხოვებოდათ არსებითი მოვიტირება.

## თავი IV. სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლები

### 4.1. სისხლისსამართლებრივი დევნა სამართალწარმოების საწყის ეტაპზე

საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე, გამოძიების დაწყების, ჩატარების, დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენისა და დასჯის ვალდებულება სახელმწიფოს პრეროგატივაა<sup>27</sup>. შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოს დაქვემდებარებული პირი, რომელიც უფლებამოსილია მსგავს სიტუაციებში განახორციელოს ზემოთხსენებული ქმედებები, ვალდებულია დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაიწყოს გამოძიება. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, გამოძიებლის მიერ გამოძიების დაწყების შესახებ უნდა ეცნობოს პროკურორს. სამართალწარმოების საწყისი ეტაპის არასრულფასოვანი განმარტების მიუხედავად, ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში, საჭიროა სწორი მსჯელობით გავცეთ ისეთ კითხვებს პასუხი, როგორცაა, მაგალითად, თუ როდის ითვლება გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართლის პროცესი დაწყებულად და რა მომენტიდან შეიძლება ჩავთვალოთ სისხლისსამართლებრივი დევნა სამართალწარმოების საწყისად.

ლოგიკური იქნება, თუკი მსგავს სიტუაციაში გავიზიარებთ იმ სახელმწიფოთა შეხედულებებს, რომელთა იურისპრუდენციას და სამართლის მოდელსაც იზიარებს ქართული საპროცესო კანონმდებლობა. ქართული სამართალმცოდნეობა ძირითად ასპექტში კონტინენტური ქვეყნების სამართალს ენათესავება, მაგრამ ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ანგლო-ამერიკული სამართლის მოდელისათვის დამახასიათებელი ელემენტების გაზიარება. ამის მიუხედავად, თავად აშშ-ის სისხლის სამართლის პროცესში ამ საკითხის მიმართ არ არსებობს ცალსახა განმარტება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ სამართალწარმოების საწყის ეტაპზე. ზოგიერთის მოსაზრებით, სისხლის სამართლის პროცესი იწყება მაშინ, როდესაც შესაბამის ორგანოში დარეგისტრირდება დანაშაულის ან შესაძლო დანაშაულის შესახებ ინფორმაცია. ზოგს კი მიაჩნია, რომ პროცესი იწყება სასამართლოს ბრძანების გაცემის მომენტიდან, ბრალდებულის დაპატიმრების შესახებ.<sup>28</sup>

მოცემულ ეტაპზე განხორციელებული მოქმედებების მიზანია ქმედებასა და მოვლენაში დანაშაულის ნიშნების არსებობის/არარსებობის შემოწმება. თუ დანაშაულის ჩადენის ფაქტი გამოვლინდა, მაშინ ხორციელდება ქმედებები იმ მონაცემთა გამოსავლენად, რომლებიც იძლევა დაპატიმრების საფუძველს.<sup>29</sup>

<sup>27</sup> მ. სტროგოვიჩი სისხლის სამართლის პროცესი. თბილისი 1948. გვ 78.

<sup>28</sup> კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თარგმანი რუსულიდან, სამეცნიერო რედ: რ. გოგშელიძე. თბილისი 2007. გვ 215-216.

<sup>29</sup> კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თარგმანი რუსულიდან, სამეცნიერო რედ: რ. გოგშელიძე, თბილისი 2007. გვ 281-282.

## 4.2. სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება და სახეები

სისხლისსამართლებრივი დევნა არის უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული, სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის მხილება და მის მიმართ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სასჯელის გამოყენების უზრუნველყოფა<sup>30</sup>.

ერთი შეხედვით, ამომწურავი განმარტებაა სახეზე დევნის შესახებ, მაგრამ რეალურად იურიდიულ ლიტერატურაში დღესაც არ არსებობს ერთიანი მოსაზრება სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების, მისი შემადგენელი ელემენტებისა და საპროცესო მოქმედებების შესახებ, რათა სისტემური უზრუნველყოფის ფარგლებში ხორციელდებოდეს ტერმინების მიზეზშედეგობრივი გამოყენება ისეთ ლეგიტიმურ დონეზე, როგორც ორგანული კანონი, ან თუნდაც კოდექსია. ასევე არ გვაქვს ერთიანი მოსაზრება დევნის დამწყებ სუბიექტებზე, თუნდაც დევნის დაწყებისა და დამთავრების შესახებ. ორად გაყოფილი მოსაზრებები ცნების შესახებ გვადლებს ერთმანეთისგან განსხვავებულ განმარტებას. მეცნიერი-იურისტთა ერთი ნაწილის აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდების და გამოძიების განუყოფელი ნაწილია. ხოლო მეორეთა აზრით, იგი მხოლოდ წინასასამართლო ეტაპზე განხორციელდება და ადგილი არ აქვს სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს.<sup>31</sup>

სისხლისსამართლებრივი დევნა არის, ინდივიდუალურ დონეზე, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ურთიერთობის ფორმა პირებთან, ინდივიდებთან, არა ძალადობის ან უარყოფითი ზემოქმედების მოხდენის მიზნით, არამედ, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისა და იმ შედეგებისგან თავის არიდების მიზნით, რომელიც შეიძლება დანაშაულის ჩადენამ გამოიწვიოს. სისხლისსამართლებრივი დევნის რეალიზაციისას სახელმწიფო, როგორც ამ ქმედების ექსკლუზიური უფლების მქონე და სამართალურთიერთობის მონაწილე, ასრულებს თავის ვალდებულებას სისხლის საპროცესოსამართლებრივი ურთიერთობის სფეროში.<sup>32</sup>

საგამოძიებო მოქმედებათა რიცხვს, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, მიეკუთვნება პირის დაკავება და მის მიმართ აღკვეთი ღონისძიების გამოყენება.<sup>33</sup> დევნა იწყება მას შემდეგ, რაც საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით უკვე გამოიკვეთება გამოსაძიებელი დანაშაულებრივი ფაქტის ჩამდენი ან მასში მონაწილე კონკრეტული პირი და როდესაც,

<sup>30</sup> გ. აბაშიძე პროკურორი გამოძიების სტადიაზე. თბილისი 2012, „უნივერსალი“ გვ.57

<sup>31</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი), ავტორთა ჯგუფი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2017, გვ 61.

<sup>32</sup> ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი), გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2017, გვ 62.

<sup>33</sup> გ. აბაშიძე პროკურორი გამოძიების სტადიაზე. თბილისი. „უნივერსალი“ 2012. გვ 61.

სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით, მის მიმართ გამოიტანენ დადგენილებას პირის ბრალდების შესახებ.

ამრიგად, სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება შესაძლოა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილი პირის მიერ წარმოებული საპროცესო საქმიანობა, რომელშიც მოიაზრება საჯარო ინტერესის დაცვის, დანაშაულის ჩამდენი პირის მხილებისა და დასჯის მიზნით, ფაქტობრივი მონაცემების შეფასების შემდეგ, ბრალდებულის მიმართ შესაბამისი საპროცესო მოქმედებების განხორციელება, როგორც გამოძიების სტადიაზე, ასევე საასამართლოში საქმის განხილვისას“.<sup>34</sup>

### 4.3. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დაკავებით

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ცალსახად ადგენს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან პირის ბრალდებულადცნობისთანავე, თუ ის არ დაუკავებიათ.

ე.ი, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე, ანუ მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავება საპროცესო კოდექსის მიხედვით არის თავისუფლების ხანოკლე აღკვეთა.

დაკავება ის საგამოძიებო მოქმედებაა, რომელსაც სავალდებულო წესით უნდა მოჰყვეს სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებისთვის პიროვნებისთვის ბრალდების წარდგენა.

პირის დაკავება შესაძლოა განხორციელდეს როგორც სს დევნის დაწყებამდე, ისე დევნის დაწყების შემდგომაც. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დაკავება არის პროცესის მწარმოებელი ორგანოს და დაკავების უფლებით აღჭურვილი სუბიექტების უფლებაა. ამგვარად, მისი გამოყენებაც დამოკიდებულია პროცესის მწარმოებელი სუბიექტის შეხედულებაზე.

ადამიანის დაკავება წარმოადგენს გამოძიების მიზნებისთვის პირის ხანმოკლე თავისუფლების შეზღუდვას კონკრეტულ დანაშაულში მისი მხილების ანდა მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის საფრთხეების გადამოწმების და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. დაკავების მიზანია:

- პირის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენცია და დაკავებულის მიმართ მოგვიანებითი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების უზრუნველყოფა;

<sup>34</sup> ლ. ფაფიაშვილი, ი. აქუბარდია და სხვები, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2017. გვ 64.

- პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ვარაუდის გადამოწმება.

თავად დაკავების საფუძველებს განმარტავს კანონმდებელი და აღნიშნავს, რომთუკი არსებობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონმდებელი სასჯელის სახით განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთას, ამასთანავე აღნიშნული პირი არ გამოცხადდება სასამართლოში, მიიძალება, გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მიმართავს სასამართლოს, რომელიც თავის მხრივ ზეპირი მოსმენის გარეშე გამოსცემს პირის დაკავების განჩინებას. აღნიშნული განჩინება არ საჩივრდება.<sup>35</sup>

პარალელურად, კანონმდებელმა დაადგინა, რომ შესაძლებელია პირის დაკავება მოხდეს მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში, როდესაც:

- პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;
- პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით;
- პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
- პირი დანაშაულის ცადენის შემდეგ მიიძალა, მაგრამ შემდგომში ამოიცნო თვითმხილველმა;
- პირი შესაძლოა მიიძალოს.

კანონმდებელმა ცალსახად განმარტა, რომ: „პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა და მისი მიძალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა.“<sup>36</sup>

გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას, დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია დაკავების უფლებამოსილების მქონე პირის გადაწყვეტილებაზე.

ამგვარად, ზემოაღნიშნულის გაანალიზებით ვიტყვით, რომ არსებობს დაკავების ორი სახე: დაკავება მოსამართლის განჩინებით და დაკავება განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში.

მოსამართლის განჩინებით პირის დაკავების დროს სახეზეა ის სურათი, როდესაც ბრალდების მხარეს გამოძიების სტადიაზე უკვე შეგროვებული აქვს მტკიცებულებები, რომლის

<sup>35</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ.171, ნაწ.1

<sup>36</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ.171, ნაწ.3

საფუძველზეც არსებობს ფდასაბუთებული ვარაუდი, რომ კონკრეტულმა პიროვნებამ დანაშაული ცაიდინა და საჭიროა მისი დაკავება გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე.

აღნიშნულ შემთხვევაში პროკურორი მოტივირებული შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს და ასაბუთებს დაკავების აუცილებლობას გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. ამ დროს სასამართლო ვალდებულია და არა უფლებამოსილი, რომ გამოიტანოს დაკავების შესახებ განჩინება, როცა სახეზეა სსსკ-ის 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლები. პროკურორი შუამდგომლობით უფლებამოსილია მოითხოვოს ერთზე მეტი პირის დაკავება და შესაბამისად, განჩინებაც გამოტანილი იქნება ყველა პირის მიმართ. თუმცადა, ორივე დოკუმენტში დაკავების საფუძვლები თითოეული პირის მიმართ ცალკე უნდა იყოს დასაბუთებული.

მეორე შემთხვევას წარმოადგენს **დაკავება სასამართლოს ნებართვის გარეშე**. გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე პირის დაკავების საგამონაკლისო უფლება გათვალისწინებულია იმ შემთხვევისთვის, როდესაც დანაშაულის აღკვეთის ან პრევენციის მიზნით, ადამიანის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის მყისიერი, გადაუდებელი აუცილებლობა არსებობს.<sup>37</sup>

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა სახეზეა მაშინ, როდესაც ხდება დანაშაულის ფაქტზე მყისიერი რეაგირება და დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მირებისთანავე დაკავების უფლებით აღჭურვილი პირი აკავებს სავარაუდო დამნაშავეს. ამ დროს ითვლება, რომ დაკავებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია და იგი სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებითა და მოვალეობით.

#### **4.4. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პირის ბრალდებით**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული.

აღნიშნული მითითება ერთის მხრივ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის საკმარისად მიიჩნევს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობას, ხოლო მეორეს მხრივ, დევნის დაწყების დროისთვის მოითხოვს მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი დასაბუთებულ ვარაუდს განმარტავს, როგორც ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც სისხლის სამართლის საქმის

---

<sup>37</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქეები ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქმე N503, 513, II-13 (11.04.2013)

გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.

სისხლის სამართლის საოროცესო კოდექსის 169-ე მუხლი სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტთან ერთად მოითხოვს მტკიცებულებათა ერთობლიობას. ამასთანავე, საქართველოს უზენაესი კანონი - კონსტიტუცია მოითხოვს, რომ დადგენილება პირის ბრალდების შესახებ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროისთვის სახეზე უნდა იყოს არამხოლოდ ფაქტების, არამედ მტკიცებულებათა ერთობლიობაც. აღნიშნულის თაობაზე მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაც, სადაც აღნიშნულია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნისას მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობა აუცილებელია.<sup>38</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სს დევნის დაწყება უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს და მტკიცებულებების შეფასებისას შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, მიუკერძოებლად და შინაგანი რწმენის საფუძველზე. აუცილებელია მოხდეს მტკიცებულებების რელევანტურობის, მნიშვნელობისა და უტყუარობის შეფასება.

კანონმდებლმა ცალსახად მიუთითა, რომ ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია და არ არის ვალდებული გამოიტანოს ბრალდების შესახებ დადგენილება პირის წინააღმდეგ. უფლებამოსილებაზე მითითება გულისხმობს პროკურორის დისკრეციას დაიწყოს სს დევნა ან უარი თქვას დევნის დაწყებაზე. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი მიიღებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილებას, მას გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ.

სსსკ-ის მიხედვით, პირის ბრალდება წარმოადგენს პროკურორის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას. ბრალდების წაყენება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა და მას შეუძლია პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გაცნობა დაავალოს გამომძიებელს. როგორც წესი გამომძიებელზე ამ უფლების დავალებას პროკურორი აღნიშნავს ბრალდების შესახებ დადგენილებაში.

პირის ბრალდებულად ცნობა თავისი არსიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანესი მოვლენაა იმ კუთხით, რომ პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი და სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი სწორედ ამ დროიდან უჭერს ბრალდებას მხარს პირის წინააღმდეგ. კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ სისხლისსამართლებრივი

---

<sup>38</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 1/1/548, საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 22.01.2015.

დევნა სისხლისსამართლებრივ ბრალდებაზე უფრო განვრცობილია და შესაძლოა მას ადგილი ჰქონდეს ბრალის წაყენებამდეც.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ქართველმა კანონმდებელმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პირის დაკავებიდანვე განსაზღვრა და აღნიშნა, რომ დაკავებული დაკავების მომენტიდანვე ითვლება ბრალდებულად.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას ისიც, რომ პიროვნების დაკავების ოქმი და ბრალდების შესახებ დადგენილება სს დევნის დაწყების თვალსაზრისით, თანაბარი მნიშვნელობის საპროცესო დოკუმენტებად შესაძლოა იქნეს მიჩნეული.<sup>39</sup>

---

<sup>39</sup> ბ. მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), „მერიდიანი“ თბ. 2015, გვ.110

## თავი V. დისკრეცია, როგორ პროკურორის ექსკლუზიური უფლებამოსილება

### 5.1. დისკრეციის არსი

ქართულ სამართლებრივ სივრცეში ნოვაციას წარმოადგენს დისკრეციის პრინციპის გამოჩენა, რომელიც ოფიციალურად დაკანონდა 2010 წლის 01 ოქტომბერს ძალაში შესული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განსაზღვრა მოხდა სხვადასხვა ქვეყნების საპროცესო გამოცდილების საფუძველზე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ სამართლებრივი მექანიზმის შემოღების წინაპირობა ეროვნული საპროცესო ტრადიციები არ ყოფილა.

თავად ტერმინი „დისკრეცია“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს საკუთარი შეხედულებისამებრ თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას. ეს ინსტიტუტი ჩამოყალიბდა და განვითარდა ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში, ხოლო შემდგომში ასახვა ჰპოვა კონტინენტურ სამართალშიც. ინგლისში და აშშ-ში მას განვითარების დიდი ისტორია აქვს. ამ ქვეყნებში გავრცელებულია ფართო, შეუზღუდავი დისკრეცია, ხოლო კონტინენტური სამართლის ქვეყნებში დისკრეცია გამოიყენება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.<sup>40</sup>

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული ტერმინი - დისკრეციული უფლებამოსილების ცნება, განმარტებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით და განსაზღვრავს, რომ ეს არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

დისკრეციული უფლებამოსილების ცნება ასევე განმარტებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც. კერძოდ, დისკრეციული უფლებამოსილება სახეზეა მაშინ, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს, სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, რჩება შესაძლებლობა, აირჩიოს მისაღები ღონისძიება. ასეთ დროს კანონი არ განსაზღვრავს სამართლებრივ შედეგს. ნაცვლად ამისა, კანონი ადმინისტრაციულ ორგანოს აღჭურავს უფლებამოსილებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს სამართლებრივი შედეგი. ორგანოს ენიჭება უფლება ორ ან მეტ სამართლებრივ შედეგს შორის აირჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული

<sup>40</sup> ბ. მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამომიების სტადიაზე), „მერიდიანი“ თბ. 2015, გვ.166-167

უფლებამოსილება გულისხმობს ორგანოს თავისუფლებას, რათა კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელოს თუ არა ღონისძიება ან მისაღები ღონისძიებდან რომელი გამოიყენოს.<sup>41</sup>

ბრალმდებლის მიერ უფლებამოსილების გადამეტება ან დისკრეციის ბოროტად გამოყენება აფერხებს სიმართლის დადგენას, რაც არის სასამართლოს უმთავრესი ფუნქცია და შეჯიბრებითობის სისტემის ფუნდამენტური მიზანი.<sup>42</sup>

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების მიზანი არის ეფექტური სისხლის სამართალწარმოების განხორციელება, შესაბამისად, პროკურორის ყოველი გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი.<sup>43</sup>

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწესრიგებულია პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება.

სსსკ პროკურორს ანიჭებს ფართო დისკრეციას საკუთარი შეხედულებით გადაწყვეტოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან შეწყვეტის, საპროცესო შეთანხმების დადებისა და სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები.<sup>44</sup>

ქართული საპროცესო კანონმდებლობა გამოძიების დაწყების ვალდებულების მსგავსად არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ვალდებულებას. გადაწყვეტილების მიღება სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების შესახებ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით პროკურორის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა და არც ერთ სხვა სტრუქტურას/პირს არ გააჩნია დევნის დაწყების ანდა ბრალდებაზე უარის თქმის კომპეტენცია.<sup>45</sup>

## 5.2. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისას

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობით, პროკურორს მინიჭებული აქვს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, რის გამოც, სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება არ დიწყოს, ან შეწყდეს, თუ იგი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის

<sup>41</sup> პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ. 2010, გვ.36

<sup>42</sup> ბ. მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), „მერიდიანი“ თბ. 2015, გვ.168

<sup>43</sup> Конярова Ж.К., Дисcretionные полномочия прокурора и проблемы их реализации на досудебных стадиях уголовного процесса., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Ижевск, 2008, ст.45-46

<sup>44</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ.16

<sup>45</sup> ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ. 2015, გვ.127

სახელმძღვანელო პრინციპებს. ამგვარად, პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილება შესაძლოა განახორციელოს სამი ფორმით:

- სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება;
- უარი სისხლისსამართლებრივ დევნაზე
- დაწყებული დევნის შეწყვეტა.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება წარმოადგენს პროკურორის უფლებას და არა მოვალეობას.<sup>46</sup>

- პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მაშინ, როცა:
- სახეზეა დანაშაულებრივი ქმედება;
- შეკრებილია მტკიცებულებები, რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია კონკრეტული პირის მიერ.<sup>47</sup>

ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დასაბუთებული ვარაუდი ეს არის ფაქტების ან ინფორმაციათა ერთობლიობა, რომელიც კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. ე.ო, ეს ის მტკიცებულებათა სტანდარტია, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად და რომელი სტანდარტიც მოწმდება მტკიცებულებათა ტესტის მეშვეობით.

თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დისკრეციული დევნის პრინციპის გათვალისწინებით, ზემოთაღნიშნული ორი გარემოების არსებობა ავტომატურად არ გულისხმობს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ვალდებულებას ან/და აუცილებლობას. მაგრამ, ამავდროულად, ამ ორი გარემოების არარსებობა ცალსახად გამორიცხავს სს დევნის დაწყების შესაძლებლობას.

ცალსახაა ისიც, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას პროკურორი ხელმძღვანელობს კანონმდებლობით და სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით. თუმცა, ამავდროულად, მისი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და მისი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის, შინაგან რწმენას.

იუსტიციის მინისტრის ხსენებულ ბრძანებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ თუკი სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მსვლელობისას შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობა საკმარისი იქნება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისთვის, რომ პირმა

<sup>46</sup> ბ. მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), „მერიდიანი“ თბ. 2015, გვ.175

<sup>47</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის N181 ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“, მე-3 ნაწ.

ჩაიძინა დანაშაული, ბრალმდებელი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი:

- ჩაატაროს ან მოითხოვოს დამატებითი გამოძიების ჩატარება;
- დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა;
- უარი თქვას დევნის დაწყებაზე და გამოიყენოს სს დევნის ალტერნატიული მექანიზმები;
- უარი თქვას დევნის დაწყებაზე, ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების გარეშე.

იმის გათვალისწინებით, რომ დასაბუთებული ვარაუდის შემთხვევაში პროკურორს უფლება აქვს თავისი შეხედულებით მიიღოს ერთ-ერთი ხსენებულ გადაწყვეტილება თავიდან, მნიშვნელოვანია, რომ ეს მოხდეს დროულად. სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობამ ბრალდების მხარე შესაძლოა მიიყვანოს მისთვის არასასურველ შედეგამდე. ანუ, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, თუკი პროკურორმა მოითხოვს დამატებითი გამოძიების ჩატარება და არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაძლოა დამატებითი გამოძიების შედეგები ბათილად იქნეს ცნობილი.

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების შემთხვევაში შესაძლებლად უშვებს დაუშვებლად იქნეს ცნობილი ბრალდების მხარის მტკიცებულებები, რომლებიც მას შემდეგ იქნა მოპოვებული, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი.<sup>48</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ორი გზა არსებობს: პირველი როცა დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე.<sup>49</sup>

პირველ შემთხვევაში თავისუფლად შეიძლება აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ყოველთვის არ წარმოადგენს პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას, რადგან რადგან შესაძლებელია მისგან დამოუკიდებლადაც დაიწყოს, მაგალითად პიროვნების დანაშაულის ფაქტზე წასწრებისას, ეს უკანასკნელი დააკავოს სხვა უფლებამოსილმა პირმა. ასეთ დროს, პროკურორმა თავისი დისკრეციული უფლებამოსილება შეიძლება გამოიყენოს დაკავების შემდგომ, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მისაღწევად არ მიიჩნევს აუცილებლად პირის დაკავებას და პიროვნებას გაათავისუფლებს. ან სხვა შემთხვევაში, გამოიტანს პირის ბრალდების შესახებ დადგენილებას ანდაც საერთოდ შეწყვეტს გამოძიებას და თავისთავად სისხლისსამართლებრივ დევნას.

<sup>48</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 169, ნაწ.9

<sup>49</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 167, ნაწ.1

აქვე უნდა ვისაუბროთ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მეორე გზაზე, რაც გულისხმობს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას პირის ბრალდებულად ცნობით. აღნიშნული მოქმედების განხორციელება პროკურორის უშუალო მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელია. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება ამ დროს გამოიხატება იმაში, რომ მას შესაძლებლობა აქვს დანაშაულის ჩამდენ პირს არ წაუყენოს ბრალდება. ამასთანავე შეუძლია არ წარმართოს საქმე სასამართლოში განსახილველად, თუ იცის, რომ ბრალდება სათანადო მტკიცებულებებით არ არის გამყარებული. ამავდროულად, აუცილებელია, რომ პროკურორმა გაითვალისწინოს დევნის საჯარო ინტერესი, ანდაც თუ ზემოთხსენებული საფუძვლები არსებობს, დისკრეციის ფარგლებში, პირი ცნოს ბრალდებულად.

ხსენებული მსჯელობიდან ცალსახაა, რომ პროკურორი დისკრეციულ დევნას ახორციელებს გამოძიების ეტაპზე, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო ბრალმდებელი სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, იმ საქმეებზე, რომლებიც სასამართლოს გადაეცემა განსახილველად, პროკურორი აგრძელებს თავის ფაქტობრივი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას. საქმის გამოკვლევის დროს პროკურორმა უნდა განსაზღვროს საქმის სტრატეგია და არსი.

საქმის სასამართლოში განხილვის დროს პროკურორი წარმოადგენს ბრალდების მხარეს, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეუძლია სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა, თუმცა სასამართლოშიც განსაკუთრებული უფლება გააჩნია, რაც მოიაზრებს იმას, რომ ქართული საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, შეუძლია ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში განაჩენის გამოტანამდე უარი თქვას ბრალდებაზე.<sup>50</sup>

ასეთი გადაწყვეტილება პროკურორმა შესაძლოა მიიღოს მიზანშეწონილობის პრინციპიდან გამომდინარე, თუ აღმოაჩენს, რომ საქმეში არსებული ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები გაბათილდა დაცვის მხარის მიერ და დარცხნილი მტკიცებულებები არასაკმარისია ბრალდების მხარდასაჭერად ან აღარ არსებობს საქმის შემგომი გაგრძელების საჯარო ინტერესი. სწორედ ამაში გამოიხატება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სასამართლოში საქმის განხილვისას.<sup>51</sup>

<sup>50</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 250, ნაწ. 1;2

<sup>51</sup> ბ. მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), „მერიდიანი“ თბ. 2015, გვ.178

აღსანიშნავია ისიც, რომ იურიდიულ დოქტრინაში ზოგიერთი მეცნიერი პროკურორის ამ უფლებას - უარი თქვას ბრალდებაზე, სკეპტიკურად უყურებს და აცხადებს, რომ სათანადო საფუძვლის არსებობისას, პროკურორი ვალდებული უნდა იყოს ბრალდებაზე თქვას უარი.

პროკურორის უფლება, უარი თქვას ბრალდებაზე, ამ უკანასკნელს მისცემს საშუალებას მხარი დაუჭიროს აშკარად უკანონო ბრალდებას და ამტკიცოს პირის ბრალეულობა მაშინაც, როცა ხელთ არ აქვს სათანადო მტკიცებულებები.<sup>52</sup> თუმცა, პირიქით, იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება ექნება პროკუროს უარი თქვა ბრალდებაზე, იგი გაბედულად იტყვის უარს ბრალდებაზე და ამით დაცული იქნება ბრალდებულის ინტერესები.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო ბრალმდებელმა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დადგენილი პრინციპების მიხედვით, საკუთარი შეხედულებით უნდა გადაწყვიტოს თუ რამდენად მიზანშეწოლია იმ კონკრეტულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებში აღნიშნულია, რომ ბრალმდებელმა სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს ორი ტესტით - ანუ განსაზღვრული კრიტერიუმების ერთობლიობით: მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტით, რაც ერთობლიობაში ქმნის ე.წ **სრულ ტესტს**.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზენშეწონილია თითოეული განვიცილოთ ცალ ცალკე.

### **5.3. სრული ტესტის დატვირთვა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას**

პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში სარგებლობს ფართო დისკრეციით. თუმცადა, არსებობს ცალკეული გარემოებები, რომლებიც პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღებისას. მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ პროკურორი იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი. გადაწყვეტილების მიღებისას მასზე სუბიექტურმა გარემოებებმა არ უნდა მოახდინოს გავლენა.<sup>53</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელოს სრული ტესტის პირობებში. მხოლოდ აღნიშნულის დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა იქნას დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა.

<sup>52</sup> პ. კობალაძე, „პროკურორის უარი ბრალდებაზე და სამართლებრივი შედეგები, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2010, N1, გვ.62

<sup>53</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის N181 ბრძანება, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, ნაწ. 3

ბრალმდებელმა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით, საკუთარი შეხედულებისამებრ, უნდა გადაწყვიტოს თუ რამდენად მიზანშეწონილია კონკრეტულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

სრული ტესტის შემადგენელი კომპონენტები, როგორც მტკიცებულებითი, ისე საჯარო ინტერესის ტესტი შეფასებითია და სახელმწიფო ბრალმდებლის მხრიდან მოითხოვს განსაკუთრებულად ფრთხილ მიდგომას. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ სრული ტესტის თითოეული ეტაპი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა განიხილოს პროკურორმა საქმის გარემოებათა ანალიზის და შეფასების გზით და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს დევნის დაყება/არდაწყების ან გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

აღნიშნული გადაწყვეტილებები პროკურორმა უნდა მიიღოს იმის შემდეგ, რაც შესაძლებელი იქნება ჩადენილი დანაშაულის ბუნებისა და სიმძიმის სრული გაანალიზება და საქმესთან მიმართებით საჯარო ინტერესის სწორად შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორს საკმარისი ინფორმაცია არ გააჩნია, გამოძიება უნდა გაგრძელდეს და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე მოგვიანებით იქნეს მიღებული გადაწყვეტილება.

### 5.3.1. მტკიცებულებათა ტესტი

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის N181 ბრძანების თანახმად, პროკურორმა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა თუ არ არსებობს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი ანდა თუკი ნაკლებადაა მოსალოდნელი სასამართლოს მიერ პირის ბრალდებულობის დადასტურება.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გადაწყვეტილების დროს აუცილებელი არაა პროკურორს ხელთ ჰქონდეს ყველა ის მტკიცებულება, რომლის გამოყენებასაც სასამართლო განხილვაზე აპირებს. საკმარისია ისიც, რომ ბრალმდებელი დარწმუნებული იყოს იმაში, რომ სასამართლო განხილვის ეტაპზე მას ხელთ ექნება კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებები, რაც საკმარისი იქნება პირის ბრალდებულობის დასადასტურებლად.

ხსენებული ბრძანების თანახმად; „პირის მსჯავრდების რეალური პერსპექტივა პროკურორის მიერ ფასდება მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. ამ ეტაპზე პროკურორმა ასევე უნდა გაითვალისწინოს დაცვის ხმარის არგუმენტები და ის, თუ რა ეფექტი შეიძლება მოახდინოს ამ მხარემ ბრალდების დასაბუთებაზე.“

ვეთანხმები ბ. მეურმიშვილის მოსაზრებას, რომელსაც ავითარებს თავის ნაშრომში აღნიშნულ საკითხთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ მტკიცებულებათა ტესტში იგულისხმება გარკვეულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც მიუთითებს პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტს. მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როცა საუბარია სისხლისსამართლებრივი დევნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე დაწყების მიზანშეწონილობაზე, გაუგებარია თუ როგორ უნდა შეაფასოს პროკურორმა თუ რამდენად არსებობს სასამართლოში პირის მსჯავრდების პერსპექტივა. იმის გატვალისწინებით, რომ „დადასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტი არის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი, მასზე დაყრდნობით ვერ მოხდება პიროვნების მსჯავრდების რეალური პერსპექტივის განსაზღვრა. ძირითად შემთხვევაში პროკურორს გაუჭირდება იმისი გარკვევა, ქმნის თუ არა მოპოვებული მტკიცებულებათა ერთობლიობა პიროვნების მსჯავრდების რეალურ პერსპექტივას, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ იგი არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას ფაქტთან მიმართებით.

ქართული სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების მსგავსად, ინგლისის სამეფო პროკურატურის კოდექსის მიხედვით, პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს მტკიცებულებათა და საჯარო ინტერესის ტესტით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის სრულ ტესტს. მხოლოდ მ უკანასკნელის დაკმაყოფილების შემდეგ უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა პროკურორმა. პირის მსჯავრდების რეალური პერსპექტივა პროკურორის მიერ ფასდება მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. იმის შემდეგ, რაც პროკურორი ბრალდებულის წინააღმდეგ შეკრებს მტკიცებულებებს, უნდა განსაზღვროს შესაძლებელია თუ არა ამ მტკიცებულებების სასამართლოში გამოყენება და რამდენად სანდოა ის.<sup>54</sup>

#### 5.4. საჯარო ინტერესის ტესტი

სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებსი აღნიშნულია, რომ იმ დროსაც კი, როდესაც დაკმაყოფილებულია მტკიცებულებითი ტესტი, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, პროკურორმა არ უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ ეს საჯარო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

საჯარო ინტერესის სულ მცირე სამი განმარტება არსებობს. პირველი განმარტების თანახმად, საჯარო ინტერესი ეს არის ხალხის, როგორც საზოგადოების წევრთა, საერთო აზრი. მეორე განმარტებით, საჯარო ინტერესი გულისხმობს საზოგადოების იმ რამოდენიმე წევრის

<sup>54</sup> ქ. ჩომახიშვილი და სხვები, „მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბ. 2016, გვ.61

ინტერესთა ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან ამ საზოგადოებას. მესამე განმარტებით კი, საჯარო ინტერესი აღწერილია, როგორც მორალური კონცეფცია, რომლის შეფასებაც ხდება ისევეთი ღირებულებებით, როგორებიცაა „მართლმსაჯულების ხელშეწყობა“ ან „პიროვნების თავისუფლების ფარგლების მაქსიმალური გაფართოება“.<sup>55</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის გათვალისწინებითაც, საჯარო ინტერესი არის კანონით დაცული ინტერესი, რომლის უკანაც დგას საზოგადოება და სახელმწიფო. სისხლის სამართალწარმოებაში საჯარო ინტერესი გამოიხატება დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯის შეუქცევადი გარემოს შექმნაში. იგი იცავს რა საჯარო ინტერესს, თავის ფუნქციებს ახორციელებს ცალკეული ორგანოებისა და მოქალაქეთა ნების მიუხედავად.<sup>56</sup>

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას პროკურორი ითვალისწინებს ერთის მხრივ სასჯელის გარდაუვალობის პრინციპსა და დანაშაულის პრევენციას, ხოლო მეორეს მხრივ კი ინდივიდუალიზირებული მიდგომის საფუძველზე, დანაშაულის ჩამდენი პიროვნების მიმართ სასჯელის მიზნების მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებას.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ დევნის საკითხის გადაწყვეტისას, პროკურორმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს საჯარო ინტერესს კერძო ინტერესთან შედარებით. რაც ერთ შემთხვევაში შესაძლოა გულისხმობდეს სს დევნის წარმოების აუცილებლობას, ხოლო მეორე შემთხვევაში, მაშნ როცა თუნდაც დაკმაყოფილებულია მტკიცებულებითი ტესტი და მაღალი ალბათობით პიროვნების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მაღალი ალბათობის შესაძლებლობაა, დევნის დაწყება/განშორების მიზანშეწონილობას.

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიმართ საჯარო ინტერესის არსებობის საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია რომ გათვალისწინებული იქნეს სახელმწიფო სამართლებრივი პრიორიტეტები, დანაშაულის სახე და სიმძიმე, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, პირის ბრალეულობის ხარისხი, პიროვნული მახასიათებლები და საქმის სხვა კონკრეტული გარემოებები. პროკურორმა საქმესთან დაკავშირებული სხვა ინდივიდუალური ფაქტორების ანალიზის დაფუძველზე უნდა განსაზღვროს არის თუ არა საჯარო ინტერესი დევნის დასაწყებად დას არ უნდა დაიწყოს დევნა იმ შემთხვევაში, თუკი დევნის წარმოების მიზანშეუწონლობა აშკარად გადაწონის პირის დასჯის ლეგიტიმურ ინტერესს.

<sup>55</sup> ბ. მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამომიების სტადიაზე), „მერიდიანი“ თბ. 2015, გვ.182

<sup>56</sup> გ. აბაშიძე, „პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი“ (გამომიების სტადიაზე), თბ., 2011წ, გვ.93

საჯარო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, თუმცა საქმის ინდივიდუალური ბუნებიდან გამომდინარე, დევნის დაწყების გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა ინდივიდუალური ფაქტორის შეფასებასა და დასკვნას.

სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებში გაწერილია, რომ პროკურორმა საჯარო ინტერესის განსაზღვრის დროს უნდა მიაქციოს სხვადასხვა გარემოებებს ყურადღება, განსაკუთრებით კი უნდა გაითვალისწინოს:

▪ **სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები**

აქ საგულისხმოა, რომ სახელმწიფოს არ აქვს იმდენი რესურსი, ყველა დანაშაულის ფაქტზე განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა. შეზღუდული რესურსების ეფექტურად გამოყენების მიზნით განისაზღვრება სწორედ სისხლის სამართლის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე გამოძიების და დევნის ოქრგანოების მხრიდან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და რეაგირებას.

▪ **დანაშაულის ბუნება და სიმძიმე**

სახელმწიფოს რესურსი ნაკლებად უნდა დაიხარჯოს მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა სისხლის სამართლებრივ დევნაზე. გამომდინარე აქედან, პროკურორმა უნდა გააანალიზოს დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი და დაადგინოს, რამდენად შეესაბამება საჯარო ინტერესს დევნის დაწყება კონკრეტულ დანაშაულზე. აღნიშნულზე გადაწყვეტილების მისაღებად ძალზედ მნიშვნელოვანია იმ ფაქტობრივი თუ პოტენციური გავლენის განსაზღვრა, რაც შეიძლება დანაშაულს ჰქონდეს საზოგადოებასა თუ დანაშაულზე.<sup>57</sup>

თავად დანაშაულის გავლენა საზოგადოებაზე სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე უნდა შეფასდეს. დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი შესაძლოა იყოს მატერიალური. თავად დამნაშავე შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს მოსახლეობას ან არღვევდეს საზოგადოებრივ წესრიგს. შესაძლებელია ისიც, რომ საზოგადოება ნეგატიურად განეწყოს ამა თუ იმ პირის დასჯისადმი, თუმცა ეს როდი გულისხმობს იმას, რომ დანაშაული სხვა ფაქტორების გათვალისწინებით არის უმნიშვნელო. ამგვარად, პროკურორმა საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით არ უნდა მიიღოს აღნიშნულზე გადაწყვეტილება. საკითხის გადაწყვეტისას ბრალმდებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს საზოგადოებისთვის მიყენებული ეკონომიკური ზიანი, მოქალაქისთვის მიყენებული ზიანი, წესრიგის დარღვევის ხარისხი და ინტენსივობა. ხსენებულ ბრძანებაში აღნიშნულია, რომ პროკურორის საჯარო ვალდებულება და

<sup>57</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის N181 ბრძანება, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, ნაწ. 3

პროფესიული პასუხისმგებლობა ხშირად მოითხოვს მისგან საზოგადოებაში არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღებას.<sup>58</sup>

დამნაშავე ზიანის ანაზღაურებისგზით, რომელიც თავად ზარალის სიდიდის გამო ხშირად სიმბოლურ ხასიათში ატარებს, თავის ადამიანურ მხარესაც გამოხატავს, რითაც სამართლიანობა ნაწილობრივ მაინც აღდგება.<sup>59</sup>

▪ **სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა**

როდესაც ვსაუბრობთ საჯარო ინტერესის განსაზღვრაზე, მნიშვნელოვანი ასპექტია სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა. აუცილებელია, რომ ეს გარემოება პროკურორმა მიიღოს მხედველობაში გადაწყვეტილების მიღების დროს, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესა საქმე აქვს მსუბუქ დანაშაულთან. შესაძლებელია დანაშაული თავისი შინაარსიდან და ჩადენის ფორმიდან გამომდინარე უმნიშვნელო ხასიათის იყოს, თუმცა მისმა განმეორებით ჩადენამ უარყოფითი გავლენა იქონიოს საზოგადოებაზე, ამიტომ, აღნისნულის გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი დევნა პრევენციული თვალსაზრისით მიზანშეწონილი იქნება. აქვე ხაზგასასმელია ის ფაქტორიც, რომ ბრალმდებელმა გაითვალისწინოს თუ რამდენად მიიღწევა სისხლის სამართლის სასჯელის მიზნები დევნის განხორციელების გარეშე.

▪ **პირის ბრალეულობის ხარისხი, მისი დამნაშაულებრივი წარსული და პიროვნება**

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პროკურორს გააჩნია საკმარისი მტკიცებულებები პირის ბრალეულობის დასამტკიცებლად, აუცილებელია მან ბრალის ხარისხი სხვა მონაწილეების ბრალთან მიმართებით შეაფასოს. ამავდროულად, პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს პირის კრიმინალური წარსული, მისი მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისკენ.

▪ **ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი**

საჯარო ინტერესის განსაზღვრისას პროკურორმა ყურადღება უნდა მიაქციოს ბრალდებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას, რამდენდაა მზად ითანამშრომლოს და დაემაროს გამოზიარებას.

▪ **პიროვნული მახასიათებლები**

დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას საჭირო და მნიშვნელოვანი გარემოებაა ბრალდებულის პიროვნების შესწავლა. აღნიშნული ფაქტორი ერთობ მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

<sup>58</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის N181 ბრძანება, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, ნაწ. 3

<sup>59</sup> მ. შალიკაშვილი, „ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ“, თბ., 2011, გვ.66

#### ▪ მოსალოდნელი სასჯელი

საჯარო ინტერესების განსაზღვრის დროს პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს სისხლისსამართლებრივი დევნის შესაძლო შედეგები და სავარაუდო სასჯელის ღონისძიება. ამავდროულად უნდა განისაზღვროს თუ რამდენად შეესაბამება დევნის განხორციელებისთვის დახარჯული დრო და რესურსი პირის ბრალდების ინტერესს.

ხსენებული გარემოებები არ არის ამომწურავი და გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რამდენად შედის დევნის განხორციელება საჯარო ინტერესებში, უნდა იქნეს მიღებული ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით.<sup>60</sup>

სამწუხაროა აღინიშნოს, რომ სს დევნის დაწყება-არდაწყებასთან დაკავშირებით პროკურატურა დღესაც ხელმძღვანელობს სისხლისსამართლის პოლიტიკის იმ სახელმძღვანელო პრინციპებით, რომელიც გამოცემულია 2010 წლის 08 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ამჟამად ძეზნაში მყოფი ბრალდებულის და მსჯავრდებულის ზ. ადვიშვილის ბრძანებით, მაშინ, როდესაც საქართველოს პროკურატურის შესახებ 2018 წლის 30 ნოემბერს მიღებული ორგანული კანონით - სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების თაობაზე ბრძანებას გამოსცემს საქართველოს გენერალური პროკურორი და არა იუსტიციის მინისტრი. ფაქტობრივად, ახალი ორგანული კანონის მიღებიდან დღემდე გასულია თითქმის ორნახევარ წელზე მეტი და ძველი ნორმატიული აქტით სარგებლობა, (საუბარი არ არის მის შინაარსობრივ მხარეზე) რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია. მით უმეტეს, როცა ამ ნორმატიული აქტით განისაზღვრება ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკური მიმართულებები სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან დაკავშირებით.

### 5.5. სუბიექტივიზმის საფრთხე დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას და სასამართლო კონტროლი როგორც მისი გამორიცხვის გზა

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს, მსგავსად ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი დისკრეციული უფლებამოსილებისა, ქართველი პროკურორიც სარგებლობს ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით.

---

<sup>60</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის N181 ბრძანება, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, ნაწ. 3

ამერიკელი იურისტების აზრით, პროკურორისთვის ესოდენ ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება, სისხლისამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, შეიცავს სუბიექტივიზმის საფრთხეს.<sup>61</sup>

ეს უკანასკნელი ნიშნავს იმას, რომ პროკურორს შეუძლია სუბიექტურად მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების ან არ დაწყების შესახებ, რასაც საფუძვლად დაუდებს სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებში არსებულ ობიექტურ ფაქტორებს.

თუმცა აშშ-ს სასამართლოები არაერთხელ შეთანხმდნენ საწინააღმდეგოზე, კერძოდ: პროკურორს აქვს ფართო უფლებამოსილება დაიწყოს ან არ დაიწყოს სისხლისამართლებრივი დევნა. საქმეზე სმიტი შეერთებული შტატების წინააღმდეგ, მეხუთე სესიამ დაადგინა, რომ „გენერალური პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, აარჩიოს, განახორციელოს თუ არა დევნა ან უარი თქვას უკვე აღძრულ ბრალდებაზე არის აბსოლუტური.“<sup>62</sup>

ზემოთხსენებული მოსაზრებების გათვალისწინებით იბადება კითხვა, თუ რამდენად მიზანშეწონილია პროკურორისთვის ასეთი ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება და როგორ უნდა იქნეს აცილებული სიბუეტივიზმი აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების დროს. იურიდიულ ლიტერატურაში დაფიქსირებული აზრების მიხედვით, აუცილებელია კანონმა განსაზღვროს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების საფუძვლები, რაც მნიშვნელოვნად შეზღუდავს მას და ოფიციალური პირები ვერ შეძლებენ არაობიექტური სტანდარტების დამკვიდრებას სამართალწარმოებაში.

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს მიზანშეწონილობის პრინციპით ხელმძღვანელობა. ხსენებული პრინციპით, პროკურორს ენიჭება უფლებამოსილება დაიწყოს ან თავი შეიკავოს სისხლისამართლებრივი დევნისგან. მიზანშეწონილობის პრინციპზე დაყრდნობით დისკრეციის პრინციპის წარმატებით გამოყენებისთვის საკვანძო ფაქტორად მიჩნეულია პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების სწორი საკანონმდებლო განსაზღვრა.<sup>63</sup>

ქართულ საპროცესოსამართლებრივ სივრცეში წარმატებით გამოიყენება პროკურორისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, მიზანშეწონილობის პრინციპის გამოყენებით არ დაიწყოს სისხლისამართლებრივი დევნა, რაც სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებშიც არის აგრეთვე მითითებული.

<sup>61</sup> გ. მეფარიშვილი, დისკრეციის პრინციპთა დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ.23

<sup>62</sup> ბ. მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამომიების სტადიაზე), „მერიდიანი“ თბ. 2015, გვ.182

<sup>63</sup> ვ. ბელთაძე, „დისკრეციონიზმი და დისკრეციის პრინციპი სისხლისსამართლებრივ დევნაში“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, N16, თბ. 2011, გვ. 105-106

პროკურორმა შესაძლებელია მიიღოს არაობიექტური გადაწყვეტილება და არ დაიწყოს დევნა მაშინ, როდესაც მისი მოქმედება კანონით არის განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, არსებობს სუბიექტივიზმის საფრთხეც. იმისვის რომ გამოირიცხოს სუბიექტივიზმის არსებობა, საჭიროა პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების კანონმდებლობით განსაზღვრა.

2014 წლის 24 ივლისამდე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი საჩივრდებოდა ერთჯერადად ზემდგომ პროკურორთან, რაც ზღუდავდა სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას, ხოლო 2014 წლის 24 ივლისის საპროცესო კოდექსის 168-ე და 106-ე 1<sup>ლ</sup>-ლ მუხლებში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც დაზარალებულს მიეცა უფლება, დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილება და დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება დევნის შეწყვეტის შესახებ გაესაჩივრებინა სასამართლოში, იმ შემთხვევაში თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ხოლო მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულის გასაჩივრება კვლავ დარჩა ზემდგომი პროკურორის პრეროგატივად.

ამგვარად, აღნიშნული ცვლილება საშუალებას იძლევა შემცირდეს დაზარალებულის ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვის რისკი და გაიზარდოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებაზე კონტროლი.

ზემოთხსენებული საკანონმდებლო ცვლილების ირგვლივ იბადება ლოგიკური კითხვა, რა კრიტერიუმით არის შერჩეული მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის არსებობის შემთხვევაში სასამართლოში გასაჩივრების საკითხი? ნუთუ პროკურორს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში არ შეუძლია სამართალწარმოების მონაწილის საზიანო გადაწყვეტილება მიიღოს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის შემთხვევაში?

აქედან გამომდინარე სასამართლო კონტროლი პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილების განხორციელებაზე უნდა დაწესდეს ან ყველა კატეგორიის დანაშაულზე ან საერთოდ გამოირიცხოს, კონტროლის ეს მექანიზმი.

ძლიერი და საჯარო სასამართლო კონტროლი არის ის ერთადერთი გზა, რამაც პროკურორი უნდა აიძულოს, რომ მიუკერძოებელი იყოს ხსენებული გადაწყვეტილების მიღებისას. ამასთანავე იგი უნდა იყოს შეუზღუდავი, რაც ნიშნავს რომ იგი უნდა სარგებლობდეს ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით ყველა კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხის გადაწყვეტისას. მისი მოქმედებები პირდაპირ არ უნდა იყოს გაწერილი კანონით, თუმცა უნდა არსებობდეს სასამართლო კონტროლიც, რომელიც გამორიცხავს პროკურორის სუბიექტივიზმს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისკრეციული დევნის პრინციპი არ ირღვევა სასამართლოს ზედამხედველობისა და პროკურორის მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებების პირობებში, ვინაიდან ეფექტური მართლმსაჯულებისა და პროკურორის გადაწყვეტილებების მოქნილობის მიზნები არ შეიძლება განხორციელდეს დისკრეციული დევნის პრინციპის უპირველესი დანიშნულების, საჯარო ინტერესთა ადეკვატური ბალანსის დაცვის მოთხოვნის უგულვებელყოფით. საგამოძიებო ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილებები არ შეიძლება განხორციელდეს დისკრეციული დევნის პრინციპის უპირველესი დანიშნულების, საჯარო ინტერესთა ადეკვატური ბალანსის დაცვის მოთხოვნის უგულვებელყოფით. საგამოძიებო ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილებები არ შეიძლება გულისხმობდეს ერთი ორგანოს მიერ სამივე ხელისუფლების გაერთიანებას. სასამართლო ზედამხედველობისა და გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულების გარეშე დისკრეციული უფლებამოსილების რაიმე ფორმით, მათ შორის საჯარო ინტერესის ტესტით შეზღუდვა უმინაარსო იქნებოდა და შექმნიდა საგამოძიებო ორგანოებისთვის თვითნებობის კანონიერ საფუძველს. საქმეში ხვიჩა ყირმიზაშვილი და სხვა საქართველოს წინააღმდეგ,<sup>64</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ დაზარალებულის სტატუსზე მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლებასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ, როდესაც სასამართლო ამოწმებს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას, მისი სამართლებრივი და ფაქტობრივი წინაპირობის სისწორეს, ეს არ წარმოადგენს პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაში შეჭრას.

სწრაფი და იაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზანი ასევე ვერ გაამართლებს დისკრეციული დევნის გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებისა და სასამართლო კონტროლის გამორიცხვას. ძვირ მართლმსაჯულებასთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ კონტექსტში ხარჯების შემცირების ლეგიტიმური მიზანი საერთოდ კარგავს რელევანტულობას, თუ ის თავის თავში თავად მართლმსაჯულებაზე უარს გულისხმობს, რადგან იაფი მართლმსაჯულების მიზანიც საბოლოოდ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას ემსახურება. სასამართლოს სიტყვებით: „სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში ამავე უფლებით ეფექტურად სარგებლობის მიღწევის ნებისმიერ მიზანზე საუბარი უსაგნო და ალოგიკური ხდება.“

ანალოგიურია მიდგომა სწრაფ მართლმსაჯულებასთან მიმართებით, რადგან მისი მიღწევის საბოლოო მიზანი მართლმსაჯულობის ხელმისაწვდომობაა, და თუ ასეთი

---

<sup>64</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/12/1229, 1242, 1247, 1299 გადაწყვეტილება, ხვიჩა ყირმიზაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ხელმისაწვდომობა დადგება ექვექვეშ, გამოყენებული საშუალება დასახლებულ მიზანთან რაციონალურ კავშირშიც ვერ იქნება.

შესაბამისად, სასამართლო კონტროლისა და გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულების გამორიცხვა ვერ იქნება მიჩნეული დისკრეციული დევნის პრინციპებისა და სწრაფი და იაფი მართლმსაჯულების განხორციელების ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად გამოსადეგ საშუალებად და ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ დაზარალებულის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის ვალდებულებას.

ამასთან, იმ შემთხვევაშიც, თუ სწრაფი და იაფი მართლმსაჯულება მიჩნეულ იქნება გამოძიების შეწყვეტის, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების/შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად, იგი ვერ დააკმაყოფილებს თანაზომიერების ტესტს გამომდინარე იქიდან, რომ დაზარალებულის მიერ სასამართლოსთვის მართვის ინტერესი აღემატება სასამართლო გადატვირთულობის შესაძლო საფრთხეს. გარდა ამისა, აღნიშნულ გადაწყვეტილებებზე სასამართლო კონტროლი არ უკავშირდება სასამართლო გადატვირთულობისა და მართლმსაჯულების შეფერხების მაღალ რისკს.

## 5.6. სისხლისსამართლებრივი დევნის დამთავრება

სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დამთავრება არის მნიშვნელოვანია სამართალწარმოების დასრულების ეტაპი. საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნა მტავრდება პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეცერების/შეწყვეტის ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ შესაბამისის დადგენილების გამოტანით. გამოძიების ეტაპზე მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს სს საქმეზე გამოძიების შეყვეტასა და სისხლისსამართლებრივი დევნას შორის არსებით განსხვავებას. სისხლისსამართლისწარმოება არ მთავრდება სისხლისსამაღტლებრივი დევნის არდაწყებით, შეწყვეტა/შეჩერებით, თუმცაღა გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში, სს საქმეზე მთავრდება სამართალწარმოება იმშემთხვევაში, თუკი ზემდგომი პროკურორის მიერ არ მოხდება გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების გაუქმება.

გამოძიების შეწყვეტის ან/და სს დევნის არდაწყების ან/და შეწყვეტის საფუძვლები იყოფა ორ ჯგუფად: მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლები.<sup>65</sup>

<sup>65</sup> ი. აქუბარდია, რ. გოგშელიძე, ლ. ფაფიაშვილი, ი. ბოხაშვილი, ნ. გოგნიაშვილი, „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“, თბ., 2008, გვ.102

მატერიალურ-სამართლებრივს ის საფუძვლები მიეკუთვნება, რომელიც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, სასჯელის გამოყენებას ან დანაშაულის არსებობას.

საპროცესო-სამართლებრივ საფუძველს მიეკუთვნება სსსკ-ით დადგენილი ისეთი საფუძვლები, რომლებიც გამორიცხავენ გამოძიების გაგრძელების შესაძლებლობას. მაგალითისთვის, ასეთად მოვიაზრებთ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს ან/და სს დევნის შეწყვეტის ტაობაზე სასამართლოს განჩინებას არსებობას იმავე ბრალდების საქმეზე, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმას, ბრალდებულის გარდაცვალება და ა.შ.

სსსკ-ის 105-ე მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის საფუძვლებს.

- თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;
- თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო;
- თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულბრიობას;
- თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი;
- თუ გასულია სსკ-ით დადგენილი სს დევნის ხანდაზმულობის ვადა;
- თუ გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისთვის სს პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან;
- თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ან/და სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სს დევნის შეწყვეტის თაობაზე;
- თუ არსებობს პროკურორის დადგენილება სს დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ;
- თუ პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;
- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო (სსკ-ის 21-ე მუხლი);
- ქმედითი მონაწილის გამო;
- ვითარების შეცვლის გამო.

გარდა ხსენებული საფუძვლებისა, კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს შემთხვევებს, რომლის დროსაც სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან დაწყებული უნდა შეწყდეს. მაშინ, როცა:

- პირს არ მიუღწევია იმ ასაკისთვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;
- პირი დანაშაულის ჩადენის დროს იყო შეურაცხადი, რასაცა დასტურებს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა;

- ბრალდებული გარდაიცვალა;
- სსკ-ის 286<sup>2</sup>, 322<sup>1</sup>, 344-ე ან 362 მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი პირის მიერ სსკ-ის 143<sup>1</sup> ან/და 143<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო.

სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა ასევე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუკი ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს.

## თავი VI. კვლევის შედეგები

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების ფონზე პროკურორი აღიჭურვა ფართო უფლებამოსილებით, სწორედ აღნიშნულმა განაპირობა პრობლემატური საკითხების მეცნიერული დამუშავება. თემის დამუშავებისას მეტნაკლებად ამომწურავად იქნა განხილული პროკურორის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტის ფუნქცია-მოვალეობები. განხილულ იქნა საკანონმდებლო ნოვაცია - სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციული უფლებამოსილებასთან დაკავშირებით.

ნაშრომის დასაწყისში განვიხილეთ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოშობა-განვითარება და პროკურატურის სისტემაში განხორციელებული ცვლილებები.

თავდაპირველად აღვნიშნეთ, რომ ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა პროკურორის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტის უფლებამოვალეობების განხილვა. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ პროკურატურა და შესაბამისად პროკურორი ყოველთვის იყო და არის სს პროცესის ის სუბიექტი, რომელსაც ენიჭება სისხლისსამართლებრივი დევნის ექსკლუზიური უფლებამოსილება. საქართველოს მსგავსად, საზღვარგარეთის ბევრი ქვეყანის სისხლის სამართლის პროცესი პროკურატურას მიიჩნევს, როგორც სს დევნის განმახორციელებელ ორგანოდ.

ნაშრომში აღწერილია, რომ სამართალწარმოების პროცესში პროკურორი პროცესის ის მონაწილეა, რომელსაც მინიჭებული უფლებამოსილებისა და საპროცესო მდგომარეობის გათვალისწინებით, განსაკუთრებული, არსებითი როლი აქვს სისხლის სამართლის პროცესში. პროკურორი მოქმედებს სახელმწიფოს სახელით და განსაკუთრებული როლი აქვს როგორც კანონის განუხრელად დაცვის კუთხით, ისე დამნაშავეობასთან ბრძოლაში. ნაშრომში ვიმსჯელებთ სისხლისსამართლებრივი დევნის და პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების თაობაზე. ასევე, განვიხილეთ პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის უფლებამოვალეობები.

მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში პირდაპირაა გაწერილი, რომ პროკურატურის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია სისხლისსამართლებრივი დევნაა, რომლის უზრუნველსაყოფადაც პროკურორი ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა სს დევნის ფუნქციის შესრულების უზრუნველყოფის საშუალებაა.

დისკრეცია თავისი ბუნებით ნოვაციას წარმოადგენს ქართულ საპროცესო სამართლებრივ სივრცეში. იგი მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და არასწორად მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა დააზარალოს პირის უფლებები და ინტერესები. ამიტომაცაა, რომ

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დროს პროკურორი იყენებს სრულ ტექსტს, რაზეც ამომწურავად ვისაუბრეთ წინამდებარე ნაშრომში.

ვინაიდან დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს ნოვაციას ქართულ სამართლებრივ სივრცეში, უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოსაძიებელი საქმეთა სიმრავლის პირობებში, დისკრეციული უფლებამოსილება ხელს უწყობს სისხლისსამართლებრივი სისტემის მოქნილობასა და ეფექტურობას, საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, ხარისხიანი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებას, საპროცესო ეკონომიასა თუ ადამიანურ-მატერიალური რესურსების დაზოგვას, რაც ერთობ მნიშვნელოვანია დანაშაულთან ბრძოლაში.

## დასკვნა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროკურორი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელსაც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არსებითი როლი უკავია.

ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა პროკურორი აღჭურვა ექსკლუზიური უფლებამოსილებით, მიანიჭა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დისკრეციული უფლებამოსილება.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელიც ახალმა სისხლის სამართლის აპროცესო კოდექსმა დაამკვიდრა ქართულ სამართლებრივ სივრცეში, პირდაპირ კავშირშია სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციასთან. ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ ბევრი ცვლილება განხორციელდა სისხლის საპროცესო სამართალში, რამაც თავის მხრივ გარკვეული პრობლემები წამოშვა. ერთ-ერთი მათგანია მაგალითად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების და განხორციელებისას არსებული პრობლემატური საკითხები, რომლებსაც მეტნაკლებად შევხებით ნაშრომში.

აღსანიშნავია რომ არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების ერთიანი დეფინიცია და იურიდიულ დოქტრინაში მეცნიერ-იურისტები სხვადასხვა მოსაზრებას ავითარებენ. მიმაჩნია, რომ ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აქტიურად გამოიყენებს ტერმინს „სისხლისსამართლებრივი დევნა“, უმჯობესია თუკი ტერმინთა განმარტებაში მის დეფინიციას ჩამოაყალიბებს, რაც მის ერთგვაროვან გაგებას შეუწყობს ხელს.

საკამათოა აზრი იმის შესახებ, რამდენად ითვლება პროკურორის მიერ განხორციელებული საქმიანობა სისხლისსამართლებრივ დევნად, რასაც იგი ახორციელებს სს საქმეში ბრალდებულის გამოჩენამდე. ვემხრობი იმ მოსაზრებას, რომ ბრალდების მხარდაჭერაზე ფართო ცნება სისხლისსამართლებრივი დევნაა და იმ ქმედებებსაც მოიცავს, რომლებიც ბრალდებულის გამოჩენამდეა. ამავდროულად, სს დევნა და პირის ბრალდება პროცესის გარკვეულ ეტაპზე ფარაბს ერთმანეთს.

ნაშრომში აღვნიშნეთ, რომ სსსკ-ის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებით ან ბრალდებულად ცნობით და დაკავების მომენტიდან პირს

ენიჭება ბრალდებულის სტატუსი. კანონმდებლობა ცალსახად ადგენს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება არის მხოლოდ და მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება. კოდექსი ასევე ადგენს, რომ სს დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე, თუკი პიროვნება არ დაუკავებიან. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირმა, მაგალითად პოლიციის მუშაკმა, დექტექტივმა, პიროვნებას წაასწრო და დააკავა დანაშაულის ჩადენის მომენტში. ე.ი, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ლაფსუს, ანუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დაკავების მომენტიდან, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლის მოთხოვნას, სადაც აღნიშნავს, რომ ეს მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. ვფიქრობ, ამ კუთხით კანონმდებლობა საჭიროებს ჰარმონიზაციას.

კვლევამ აჩვენა, რომ პროკურორის თითოეული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს არამარტო ბრალდებულზე და სს პროცესის სხვა მონაწილეებზე, არამედ სრულიად საზოგადოებაზე. ამიტომაც მნიშვნელოვანი, რომ პროკურორის ყველა გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული და ასახვადეს როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების ინტერესებს. პროკურორის ნებისმიერი გადაწყვეტილება და ქმედება უნდა იყოს ორიენტირებული საზოგადოებრივ ინტერესზე და იცავდეს მას.

სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებში პირდაპირაა აღნიშნული, რომ პროკურორმა უნდა უზრუნველყოს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობის მართებულობა და სწორად მართვა. მან გამომძიებელს შესაბამისი მითითებები უნდა მისცეს აღნიშნულის უზრუნველსაყოფად. პრაქტიკაში ამ კუთხით გარკვეული ხარვეზი არსებობს, ვინაიდან ახალი საპროცესო კოდექსის მოქმედების პირობებში მთავარ როლში აღმოჩნდა პროკურორი და გამომძიებელს მხოლოდ „დამხმარის“ ფუნქცია დარჩა. მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე აიწიოს გამომძიებლის პროფესიონალიზმის სტანდარტმა, რითიც კანონმდებელი თამამად დააკისრებს მას მეტ უფლება-მოვალეობას, რითაც განიტვირთება პროკურორის ფუნქციური მოვალეობები და პროკურორი სრულყოფილად შეძლებს ყველა საქმეზე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა.

კვლევის შედეგად აღვნიშნავთ, რომ ახალი საპროცესო კოდექსი პროკურორს ანიჭებს ფართო დისკრეციას, რათა საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს სისხლისსამკართლებრივი დევნის დაწყების ან შეწყვეტის და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

## გამოყენებული ლიტერატურა

### საკანონმდებლო აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო;
2. საქართველოს სისხლის სამართალი კოდექსი, 1999 წლის 22 ივლისი;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 09 ოქტომბერი;
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი;
5. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, 1999 წლის 30 აპრილი,
6. საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, 2018 წლის 18 ნოემბერი
7. საქართველოს იუსტიციის მინისტრის N181 ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“, 2010 წლის 08 ოქტომბერი;
8. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის N34 ბრძანება, „სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო და ტერიტორიული საგამომიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“;
9. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) N4 და N12 დასკვნა, დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსამართლეებსა და პროკურორებს შორის ურთიერთობის შესახებ, 2009 წლის 08 დეკემბერი;

### სამეცნიერო ლიტერატურა

10. საპროკურორო სამართალი - პ.მონიავა, მ. მამნიაშვილი, ი. გაბისონია, ნ. რევაზიშვილი, თ. მონიავა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2019 წ,
11. საგამომიებო სამართალი - ჯ. გახოკიძე, მ. მანიაშვილი, პ. მონიავა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2018 წ;
12. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი - კერძო ნაწილი -ავტორთა კოლექტივი, საქართველოს ტექნიკური უნივერსტეტი, თბილისი, 2012 წ;
13. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი - ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი და სხვები, თბილისი, 2015;
14. სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები) - ი. აქუბარდია და სხვები, რედ: რ. გოგშელიძე, თბილისი, 2009;
15. საგამომიებო სისტემის ანალიზი, ადამიანის სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) , 2018 წ;
16. პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი (გამომიების სტადიაზე) - გ. აბაშიძე, საგამომიებო სახლი „ინოვაცია“, 2011 წ;

17. პროკურორი გამოძიების სტადიაზე - გ. აბაშიძე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012 წ;
18. პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში - ი. გაბისონია, 1999 წ, . თბილისი, გამომცემლობა: შპს „ფავორიტი“;
19. დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი - კ.ფ., გუცენკო, ლ.ვ., გოლოვკო, ბ.ა., ფილიმონოვი, თარგმანი რუსულიდან, სამეცნიერო რედ: რ. გოგშელიძე, თბილისი, 2007 წ;
20. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ა. ვაჩიშვილი, ტ. II, თბილისი, 1948;
21. „საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის მიმოხილვა“, ევროპული და საერთაშორისო სამართლის გავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე - გ. თუმანიშვილი, „მერიდიანი“, თბილისი, 2019 წ;
22. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მეორე გამოცემა, - მ. მამნიშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, თბილისი 2013 წ;
23. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე) - ბ.მეურმიშვილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015 წ;
24. ოფიციალური დევნის პრინციპი ძველ ქართულ სამართალში - ბ. მეურმიშვილი, „სამართლის ჟურნალი“ უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013 წ;
25. ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2012 წ;
26. დისკრეციის პრინციპთა დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა - გ. მეფარიშვილი, თბილისი, 2014 ;
27. „საქართველოს პროკურატურის ისტორია და თანამედროვე ორგანიზაცია - ი. აქუბარდია, თბილისი, 1999 წ;
28. პროკურატურის ისტორიისთვის საქართველოში, ნარკვევი I, VI-XVIII საუკუნეები - გ. ფერაძე, „მერიდიანი“, თბილისი, 2017 წ;
29. სასამართლო პროცესი მე-17–მე-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, მ. ლეკვეიშვილი თბილისი, 1963 წ;
30. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში - ივ. სურგულაძე, ტომი I, თბილისი, 1952 წ;
31. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ - მ. კეკელია, წიგნი I, თბილისი, 1970 წ;

32. სისხლის სამართლის პროცესი - მ. სტროგოვიჩი, თბილისი, 1948 წ;
33. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო - პ. ტურავა, ნ. წეკელაძე, თბილისი, 2010 წ;
34. პროკურორის უარი ბრალდებაზე და სამართლებრივი შედეგები - პ. კობალაძე, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ N1, 2010 წ;
35. მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში - ე. ჩომახიშვილი და სხვები, თბილისი, 2016 წ;
36. ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ - მ. შალიკაშვილი, თბილისი, 2011 წ;
37. „დისკრეციონიზმი და დისკრეციის პრინციპი სისხლისსამართლებრივ დევნაში“, ვ. ბელთაძე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, N16, თბილისი, 2011 წ;

#### უცხოური ლიტერატურა:

38. JACKSON R.H. (1940), The Federal Prosecutor. 3(5) journal Of Criminal Law an Criminology;
39. Бартошек М., Римское право. Понятия, термины, определения. Москва, Юридическая литература. 1989;
40. Конярова Ж.К., Дискреционные полномочия прокурора и проблемы их реализации на досудебных стадиях уголовного процесса., Дисертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Ижевск, 2008;

#### სასამართლო გადაწყვეტილებები

41. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N1/2/503,513 საქართველოს მოქალაქეები: ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2013 წლის 11 აპრილი;
42. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N1/1/548 საქართველოს მოქალაქე ზურა მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2015 წლის 22 იანვარი;
43. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/12/1229, 1242, 1247, 1299 გადაწყვეტილება, ხვიჩა ყირმიზაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2018 წლის 14 დეკემბრი;
44. თბილისის სააპელაციო სასამართლოს N1გ/622-17 განჩინება, 2017 წლის 04 მაისი  
<http://library.court.ge/judgements/646020170515.pdf?fbclid=IwAR34fsGqUdFJcqjAGs0C9HPYRG6qr4lnJtWUelf9WcJoZPmVFvRt6q93OOg>